საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

სამშაბათი, 4 მაისი 1920 წ.

# ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 9 მაისს [illegible] 200 მანეთი. [illegible]

№ 98 — ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციისა — № 98

გულდამწვარი შინაურნი: დედა მარო და ძმა გრიგოლ ფასაძე უღრმეს მადლობას უცხადებენ ოზურგეთის ქალთა და ვაჟთა გიმნაზიების მასწავლებლებს და მოსწავლეებს და აგრეთვე პატივცემულ საზოგადოებას, რომელთაც დასწრებით პატივი სცეს ჩვენთვის დაუვიწყარის გიმნაზიის მეოთხე კლასის მოსწავლის

**ანდრომახე ექვთიმეს ასულის ფასაძის**

დაკრძალვის დროს 10 აპრილს ამა 1920 წელს. (1474 1—1)

სასტუმრო
„ინტერნაციონალ“
თბილისში, თავისუფლების მოედანსა და სოლოლაკის ქუჩ. კუთხეზე სახლი № 1.
განყოფილება ბათომში. სასტუმრო „პალასი“
ქუთაისის და ოდლობლინსკის ქუჩის კუთხეზე.

სასტუმრო „ინტერნაციონალში“ გახსნილია
პირველი ხარისხის სასადილო

ქუხნა ევროპიული და ქართული განსაკუთრებით საცივი და ღომი. სადილები 1—5 საათამდის. სადილსა და ვახშმის დროს უკრავს სიმების მუსიკა ცნობილი
პიანისტი დავიდოვის მეთაურობით.
პატივისცემით მეპატრონე გრიგორი იოსების ძე დოლიძე.
(1478 5—1)

---

ორი წლისთავი

**ივანე მნაცაკანის ძე პართანოვის**

შესახებ, არაფერი ვიცით მისმა [illegible]. მოსკოვში მიიღო კომერციული განათლება, 1917 წელში თანამშრომლობდა გაზეთ „პროლეტარში“ ამავე დროს მსახურობდა „მოსკოვის მომხმარებელ საზოგადოებათა კავშირში“. უმორჩილესად ვთხოვთ, ვინც რაიმე იცის ხსენებულ პირზე გვაცნობონ შემდეგი მისამართით: თბილისი, ნიკოლოზის ქ. № 44. მიხეილ გიორგის ძე ხითაროვს.
(1471 1—1)

---

**დამატებითად კონკურსის პირობებისა მთავრობის საგანგებო კომიტეტი**

ამით აცხადებს, რომ სეისმომძლე საცხოვრებელ სახლების პროექტების წარმოდგენის ვადა თავდება 15 მაისს ა/წ. 12 საათზედ, რის შემდეგაც არც ერთი გეგმა განხილულ არ იქმნება.

მთავრობის საგანგებო კომიტეტის თავმჯდომარე რ. არსენიძე.
(6. 2—2)

---

ნოე ნიკოლოზის ძის ჟორდანიას
სრულ თხზულებათა კრებულის გამოცემას შეუდგა
„ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა“.
ამა წლის მაისიდან დაწყებული დაიბეჭდება თვეში არა ნაკლებ ერთი ტომისა.

სულ გამოვა 15 ტომამდის.

წიგნები დაიბეჭდება საუკეთესო ქაღალდზე ლამაზად, თითო ტომი იქნება 300 გვერდამდის და ეღირება არა ნაკლებ 55 მანეთისა. კრებული დაიბეჭდება განსაზღვრული რიცხვი. მიიღებენ მხოლოდ ხელის მომწერლები.

მიიღება ხელის მოწერა

ხელის მომწერლებმა უნდა წერილობით აცნობონ გამომცემლობას, თუ რამდენი წიგნის მიღება სურთ, უნდა გადმოგზავნონ ფოსტით თითო ცალ წიგნზე 30 მანეთი და გარკვევით მოიწერონ თავისი მისამართი. გამოცემული წიგნები ხელის მომწერლებს დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ გამომცემლობის მიერ დარჩენილი ფულის ფასდადებით. წერილები და ფული უნდა გადმოიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი „ქართული ბეჭდვითი ამხანაგობა“, რუსთაველის პროსპ. № 26, ტელეფ. № 4—73. (1400—3—3)

---

პარასკევს 7 მაისს საქართველოს მწერალთა კავშირის საბჭო აწყობს პირველ ტრადიციულ

**„პოეზიის დღეს“**

**თბილისის ყველა თეატრებში გაიმართება**
**ლიტერატურული საღამოები**
**წარმოდგენები და კონცერტები.**

დაწვრილებით ხვალ. (6. 1—1)

## როგორ ჩატარდა პირველი მაისობა?

ჩვენმა მუშათა კლასმა პირველი მაისის დღესასწაული დიდის ზეიმით და გრანდიოზული მანიფესტაციით ჩაატარა.

მუშათა დღესასწაულზე გამოიტანა მან მთელი თავისი ძალები, თავის შეკავშირებული ნების ყოფა, გამოაშკარავა ის ძლიერი სული, რომლითაც იგი დღემდე იმარჯვებდა ცხოვრების სიდუხჭირეზე და მოშლილ [illegible] თავიდან იცილებდა.

ერთი გრძნობით აღფრთოვანებული, ერთი აზრით გამსჭვალული, ერთი იდეის მოტრფიალე, იგი დღეს შიშის ზარის მომგვრელი იყო ყველა მტრის და ორგულის.

მისი კლასობრივი მოწინააღმდეგენი — ბურჟუაზიული წრეები, ამ დღეს მიმალულიყვნენ, მათი ჰაჰანები არ ჩანდა ქალაქის ქუჩებზე, რომელიც ერთიანად მუშათა არმიას დაეპყრო.

და ამით თავისთავად აღინიშნა ხასიათი ამ კლასობრივი დღესასწაულის, მისი წმინდა მუშური ხასიათი.

იგი, როგორც იყო მთელ მსოფლიოში, ისე დარჩა დღესაც ბრძოლის და მომავლის დღესასწაულად. მრავალ რევოლუციურ ნაწერთა შორის რომელნიც საერთაშორისო ლოზუნგებს შეიცავდნენ, შესამჩნევი ადგილი ეჭირა მომენტის მწვავე მოთხოვნილებაზე დამყარებულ პასუხს: რევოლუციური თავდაცვა რუსულ-თათრული იმპერიალიზმისაგან. ამას [illegible] მომენტის მოთხოვნილებას და მუშათა კლასი დიდის ერთსულოვნებით გამოთქვამდა თავის შეურყეველ ნებისყოფას დაიცვას თავისუფლება და დამოუკიდებელი რესპუბლიკა, რომელიც ხანგრძლივი, სასტიკი რევოლუციური ბრძოლით [illegible] თავისთვის და მთელი ერის.

მუშამ მთელ საზოგადოებას, მთელ ერს განუმარტა თავისი უფლებები. იგი დღესაც საკაცობრიო იდეალებს აყენებს წინ და დღესაც საერთო მიზნებს ისახავს. იგი კლასიურად გამოდის, როგორც ყველაზე დაჩაგრული და დამონებული, მაგრამ იგი ყველას ანთავისუფლებს, მთელს ერს აძლევს ნაყოფს თავის ბრძოლისას. ამით მისი კლასიური მოქმედება — საერთო მოქმედებათ ხდება, მისი განთავისუფლების ისტორია — კაცობრიობის განთავისუფლების ისტორიათ იქცევა. და ეს გამოსჭვიოდა პირველ მაისის საერთო გუგუნში...

ხმაურიან მილიტარისტური იმპერიალიზმის უგუნურმა და მოსყიდულმა აგენტებმა შეიტანეს ერთგვარი დისონანსი ამ მასიურ ერთსულოვნებაში. ეს ორიოდე [illegible], რომელნიც შეიძინეს აქ კომუნისტების მიმდევრებს, [illegible] იმპერიალისტური ზრახვების [illegible] ხალხში, ღალატს ქმნიან და ამის გამო მიაქვს შესაფერი დაფასება და მიზღვევა ხალხისაგან.

ეს უტოპიანი გამოდიოდნენ რუსეთულ დამპყრობლობის ლოზუნგებით — რუს [illegible] იმპერიალისტურ ზრახვათა განმახორციელებლებათ; ისინი გამოდიოდნენ, როგორც გარეშე ძალის მოციქულნი და წინამძღოლნი, რაც ღალატია მუშათა კლასის, ღალატია ერის, დემოკრატიის, ღალატია [illegible] პოლიტიკური მორალის, და რაც შეიძლება ჩაიდინოს მხოლოდ მოსყიდულმა ელემენტებმა, მხოლოდ მოღალატეებმა, მხოლოდ ისეთმა ხალხმა, რომელთაც უნდათ დამხობა ჩვენი რესპუბლიკის, აქ უცხო ძალის გაბატონება.

მაგრამ დემოკრატიამ ჯერ ხანი მისცა მათ შესაფერი დაფასება, [illegible] ხანი გარიყა იგინი და საზოგადოებრივ ცხოვრების ნაძირალებთან მიუჩინა ბინა. პირველი მაისი იყო მაჩვენებელი ამ უგუნურთა სრული [illegible] და პოლიტიკური გაკოტრების, რაც მუშათა კლასის საერთო ძლიერების და [illegible] სოციალისტური მისწრაფებების ფონზე ერთი [illegible] მკაფიოდ [illegible].

საქართველოს მუშათა კლასმა პირველ მაისს გამოაჩინა სიძლიერე თავისი და სრული სოლიდობა თავის პოლიტიკური მოწინააღმდეგეების.

პირველ მაისმა დაგვანახვა შეკავშირებული წინარე საერთაშორისო სოციალისტური არმიის, და ამით გაგვახსენა ის, რომ მთელი განათლებული კაცობრიობის საუკეთესო იდეალების მატარებელი კლასია — ამით ნათელიც სახეზეა [illegible] რწმენა იმის, რომ საქართველოს მუშათა კლასი სხვა ცხოვრებით ძალებით არის სავსე და იგი შეურყევლად გაიწევს წინ, წინ, გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ, რომ სოციალისტური შრომის სამეფოს მიაღწიოს.

## ნაძალადევის მუშ. კლუბის გახსნის გამო

პირველი მაისი პროლეტარიატის დღესასწაულად და ნაძალადევის მუშებმა [illegible] მათთვის ისეთი სანუკვარი, რომლის მსგავსი ძნელად თუ [illegible] ვინმე. ეს სანუკვარი მით უფრო სანუკვარი და ძვირფასია, რომ მუშებმა მას მოუთმენლად, ნელ ნელა ამზადებდნენ ორი წლის განმავლობაში, დღიური ლუკმის [illegible] და ძალ [illegible] სახელს და სიყვარულით, [illegible] თავის სამუშაოს: [illegible] ზე ნელი [illegible] და სხ. ორი წლის წინათ, რომ მე ამ ადგილებს არ ვყოფილვარ, და როდესაც დავინახე ნაძალადევის მიდამოები, რომელიც წარმოადგენდა საცხოვრებს, კაფეს, სასახლეების გარშემო შენობას, ჩემს თვალს არ ვუჯეროდი, მეგონა სხვა ადგილას ვიყავი მოხვედრილი, მეგონა ეს არ არის ის მიდამოები, რომელიც ორი წლის წინ ენახე. სრულიად განახლებულია, რომელმაც მიაწვდინა ნაძალადევის პროლეტარიატმა ამისთანა დიდ კულტურულ საქმე[illegible] [illegible] დროს, როდესაც ყველგან, ყველა ქვეყნებში მხოლოდ ნგრევას ვხედავთ და აშენებას კი არსად, იმ დროს, როდესაც პარიზში, ბერლინში და სხვა საუკეთესო ქალაქებში არც ერთი შესამჩნევი შენობა არ აგებულა ომის დასაწყისიდან, ამ დროს თბილისის პროლეტარიატი თავის კულტურულ განმანათლებელ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად აგებს ამისთანა სასახლეს, რომელიც დაამშვენებდა ყოველ ქალაქს და რომელიც საამაყო იქნებოდა ყოველ ქვეყნის პროლეტარიატისთვის.

რა სიმძიმე, რა გაჭირვება, რა საშინელება არ დაატყდა თავს საქართველოს პროლეტარიატს ამ ორი წლის განმავლობაში. მან თავს იდვა ისეთი მძიმე საქმე, როგორიც არის სახელმწიფოს შენება. ყოველ მხრიდან განუწყვეტლივ [illegible] [illegible] და ორი წლის განმავლობაში პროლეტარიატი საზღვრებზე იდგა და მძლავრად იცავდა სახელმწიფოს გარეშე მტრისაგან, და ამავე დროს იგი კიდევ [illegible] დროს პოულობს კულტურული საქმიანობისათვის და ქმნის ამისთანა კულტურულ ძეგლს, როგორიც პირველ მაისს გახსნილი მუშათა კლუბია. ეს უძვირფასი მაჩვენებელია ჩვენი მუშების დიდი კულტურული სიმაღლის და მის თვითშეგნების სიძლიერისა.

კლუბის გახსნაზე ბევრი ილაპარაკეს მის სიმბოლიური მნიშვნელობაზე. [illegible] არც ის დაივიწყა, რომ კლუბი გიორგი პლეხანოვის სახელზეა აგებული. იმ პოლიტიკურ პირობებში, რომლებშიაც დღეს ჩვენ ვცხოვრობთ, ამას მართლაც დიდი სიმბოლიური მნიშვნელობა აქვს. ორი [illegible] მოწინააღმდეგე მსოფლმხედველობა დღეს პირის-პირს არის წამდგარი — [illegible] რუსული [illegible] და მსოფლმხედველობა საქართველოს პროლეტარიატისა — მენშევიკური. ეს ორი ძალა, რომელიც აქამდის უფრო იდეურად ებრძოდა ერთმანეთს და რომლებსაც მხოლოდ აქა იქ [illegible] შეტაკება, დღეს დაპირისპირებულნი არიან და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის განმზადებულნი. უზარმაზარი რუსეთი მცირე საქართველოს უქადის ჩაყლაპვას. და ამისთანა მომენტში დამახასიათებელია ის, რომ რაც რუსეთში საუკეთესოა, რაც კულტურულია, რაც იქ [illegible] განიხილავენ, თან და თან საქართველოში მოიპოვება, აქ პოულობს თავშესაფარს და თავს იხსნის „კომუნისტური“ განადგურებისაგან. აქ მოიპოვება საუკეთესო არტისტები, საუკეთესო მწერლები, მეცნიერები, აქ მოიპოვება რუსეთის დამამშვენებელი თეატრი — „მოსკოვის სამხატვრო თეატრი“, რომლითაც რუსეთი სამართლიანად ამაყობდა მთელი ქვეყნის წინაშე. ამავე კულტურულ მოვლენების ნაწილად მიგვაჩნია ჩვენ გიორგი პლეხანოვის სახლის [illegible]. გიორგი პლეხანოვი რუსეთის აზროვნების ერთი უმთავრესთაგანია. ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, მიხაილოვსკის და სხვა პირველ ხარისხოვან ჰუმანისტების რიგში პლეხანოვს თავისი ადგილი უჭირავს, იგი ერთი იმათთაგანია, ვინაც [illegible] რუსის დემოკრატიის „[illegible]“. პროლეტარულ დემოკრატიისათვის გ. პლეხანოვი კიდევ უფრო ძვირფასია, რადგან რუსეთში მან გაატარა მარქსის მოძღვრება, რომლის [illegible] წარმომადგენელი იყო 30 წლის განმავლობაში. ის პირველი შემქმნელი იყო სოციალდემოკრატიული პარტიისა და ამ პარტიის ყველა მოღვაწენი მის ფრთებს ქვეშ გაიზარდნენ. 30 წლის განმავლობაში დაუღალავად ამზადებდა გ. პლეხანოვი რუსეთის რევოლუციის მებრძოლებს. მაგრამ სიბერეში მან [illegible]. ბოლშევიზმის სახით გამარჯვებულმა და ამბოხებულმა ანარქიამ პლეხანოვი მოსწყვიტა საყვარელ საქმეს, რომელსაც სიყვარულით ემსახურებოდა მთელი თავისი სიცოცხლე. იგი [illegible], განდევნეს, ხალხის „მოღალატეთ“ გამოაცხადეს, „რევოლუციის“ ტყვედ [illegible], სანატორიუმში და ციხეებში ამოხადეს სული და მისი სახსენებელიც კი შეურაცხჰყვეს.

ჩვენმა ქვეყანამ [illegible] შეაფარა თავის სახელმწიფოში ეს უდიდესი კულტურული ცენტრი, როგორიც გ. პლეხანოვის სახელია. სამშობლო რუსეთის მიერ დამცირებული პლეხანოვი დემოკრატიულ საქართველოს პროლეტარიატმა [illegible]. „კომუნისტურ“ რუსეთიდან გამოდევნილი მისი მოძღვრება დემოკრატიულმა საქართველომ [illegible] მისცა სამარადისო ადგილი. იმ დროს, როდესაც ანარქიის შემოსევით შეპყრობილი რუსეთი ჩვენს სახელმწიფოს [illegible], ჩვენ ვიცით, რომ რუსეთის საუკეთესო შვილი, რუსეთის დემოკრატიის [illegible] გიორგი პლეხანოვი სულიერად ჩვენთან არის და ჩვენ პროლეტარიატთან ერთად იბრძვის [illegible] იმპერიალიზმის [illegible] და [illegible], რომლისთვისაც წინადაც [illegible] მისი მოძღვრება და თავს იდება მისი ანდერძის განხორციელება — დემოკრატიზმის გზით სოციალიზმის მოპოვება.

დ. ნათაძე.

## პირველი მაისი თბილისში

### წინა დღით.

ჯერ 30 აპრილს ქუჩებში და საერთოდ ქალაქში [illegible] მზადება იყო პირველ მაისისათვის. [illegible] მწვანითა და ყვავილებით შემკობილ ავტომობილებს. [illegible] რუსთაველის პროსპექტზე მუშათა სასახლეს, [illegible] შენობას, ქალაქის [illegible] ქალაქის მუშათა უბნებში — მუშათა უბნებში — მუშათა კლუბებისა თუ სხვა დაწესებულებათა გარშემო. განსაკუთრებული მუშაობა იყო გაჩაღებული ნაძალადევის [illegible], რომელიც უნდა გახსნილიყო პირველ მაისს ჩვენი მასწავლებლის გ. ვ. პლეხანოვის სახელობაზე. ნაძალადევის მუშათა სახლი — ეს მთელი მუშათა უნივერსიტეტი, მუშათა [illegible] ტაძარია!..

1-ლ მაისს დილით შემუშავებული წესრიგის თანახმად საათის 7-ზე მთავარი სახალხო სახლის საყვირის ხმამ აუწყა ქალაქს დღესასწაულის დასაწყისი. სახალხოს ხმას გამოეხმაურა მისცა სხვა ქარხნების საყვირებმა.

### ხალხის მსვლელობა.

პირველი მაისის დილა ღრუბლიანი იყო. თითქმის მთელი ღამე [illegible] გამოუწყვეტლივ წვიმდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ხალხი დილიდანვე ამოძრავდა. მიდიოდნენ ჯგუფებით, თითოეულად, მუსიკით, სიმღერით მუშათა სასახლისაკენ.

მოსწავლე ახალგაზრდობა, მოქალაქენი, მუშები, სამხედრო თუ სახელმწიფო დაწესებულებათა მოსამსახურენი, — აი ვინ დღესასწაულობდა პირველ მაისს. მაგრამ შემცდარი ვიქნებით, თუ ვიფიქრებთ, რომ პირველი მაისის დღესასწაული თბილისში მხოლოდ საერთაშორისო ლოზუნგებით ჩატარდა. ჩვენ [illegible] იმის შესახებ, თუ რა [illegible] ადგილი უჭირავს ჩვენში საერთაშორისო ლოზუნგებს, მაგრამ ამასთანავე უნდა დავსძინოთ, რომ ამ საერთაშორისო ლოზუნგებს დაემატა ადგილობრივი [illegible] ლოზუნგები — ლოზუნგი თავდაცვისა [illegible] გარეშე თავდასხმის წინააღმდეგ მიმართული.

რუსეთის [illegible] იმპერიალიზმის შიშმა გაამთლიანა მთელი საქართველოს დემოკრატია, მთელი ქართველი ხალხი და ეს ვიხილეთ ჩვენ პირველ მაისს.

[illegible], როგორც [illegible] აღნიშნა, რომ პოლიტიკური გამოსვლები [illegible] არ ყოფილა. პირველი მაისი მუშათა დღესასწაულია, დღესასწაული საერთო ყველა მიმართულებისათვის და ამიტომ ამ დღეს არ შეეფერება [illegible].

### კომუნისტების გამოსვლა.

მაგრამ ჩვენში მოიპოვებიან ისეთი პირები, რომლებიც [illegible]. სწორედ რუსულ-თათრული იმპერიალიზმის აგენტები ბოლშევიკების სახით არა თუ კი [illegible] ჩვენში, [illegible] — [illegible] ჯანყებზე [illegible] გვირწმუნებენ, რომ საქართველოს რესპუბლიკა დაეცემა, გაანადგურებენ, ქართველი მშრომელი ხალხი გარეშე ძალას დაუმორჩილებენ.

მცირეა ეს ძალა ჩვენში, არ ჰყავს მას მიმდევრები მრავლად, მაგრამ ის მაინც [illegible] „კომბინაციებით“, — გარეშე შემოტანილი ფულებით და სხ.

და ეს ძალა ნამდვილი [illegible] სახით მოევლინა პირველ მაისს. ბოლშევიკები, აბა, რა ანგარიშს გაუწევენ [illegible], — ჩუმად, ქურდულად, [illegible] მოიყვანეს მუშათა სასახლეს ორი ავტომობილით დაახლოებით 40—50 კაცი. და მხოლოდ აქ გამოიტანეს თავიანთი პლაკატი. და დაიწყეს მათი „გამოსვლა“, გამოსვლა ნამდვილი პროვოკატორული.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელი კვირა თბილისში ბოლშევიკების აგენტები ხმებს ავრცელებდნენ, რომ პირველ მაისს გამოსვლა მოხდება. ბევრ გულუბრყვილო მოქალაქეს მართლაც ეგონა, რომ რაღაც მოხდებოდა. და ეს არც გასაკვირველია. აბა, რა იცის უბრალო „ობივატელმა“, თუ რა ძალა აქვს ჩვენს დემოკრატიას. მან არ შეუძლია ამის [illegible] და ამიტომ ის მუდამ შიშშია.

ბოლშევიკების გამოსვლისათანავე [illegible] „ობივატელს“ ეს შიში. [illegible] ბოლშევიკების აგენტობიდან [illegible] — [illegible], რომ ის [illegible].

ეს მოხდა მუშათა სასახლესთან იმ დროს, როცა დილიდანვე ხალხი იყო შეკრებილი — ქალები, ბავშვები და სხ. მთელი რუსთაველის პროსპექტი [illegible] შენობიდან სახელმწიფო თეატრამდე ხალხით იყო გაჭედილი და [illegible] მოსახლეობისათვის და [illegible] მუშები დროშებით, მუსიკით და სიმღერებით.

ამ დროს ბოლშევიკების აგენტები

# დღე

პოლონეთმა ბოლშევიკების წინააღმდეგ საერთო შეტევა დაიწყო. ინგლისური ცნობებით პოლონელები იმარჯვებენ. ბოლშევიკების ცნობით ხარკოვის საბჭოს გადაუწყვეტია პოლონელების შემოტევაზე შეტევითვე უპასუხოს.

——

წინასწარი შემუშავებული გეგმით 2 მაისს ღამით, შეიარაღებული ჯგუფი თავს დაესხა თფილისის სამხედრო სასწავლებელს. ჯარისკაცებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. თავდამსხმელთაგანი ორი მოკლეს, ორი დასჭრეს, სამიც დააპატიმრეს. შეტაკების დროს დაიჭრა ორი ჯარის კაცი.

მთავარ-სარდლის განკარგულებით აკრძალულია საქართველოს ტერიტორიიდან აღერბეიჯანში გადასვლა, ან იქიდან საქართველოში შემოსვლა.

---

„[illegible]" ხალხში და პანიკის გამოწვევას ცდილობდენ—გამოსვლა მოახდენით. რამდენიმე შეშინებული მოქალაქე დაშოშმინებული იქნა და ხალხმა განაგრძო [illegible].

არავის არ წარმოუთქვამს სიტყვა,—ისე განაგრძეს გზა. მიდიოდენ ძმათა სასაფლაოსაკენ. მუშები, მოსამსახურენი, მოსწავლე ახალგაზრდობა — წითელი დროშებით, წითელი ლენტებით, წითელი ყვავილებით, ეს იყო პროცესია, პროცესია თვალწარმტაცი დაუვიწყარი.

ჰარმონიას არღვევდა ნაწილობრივ ბოლშევიკთა ჯგუფი ავტომობილებიდან. იღებდნენ ეს ავტომობილები—„მეტალისტთა კავშირის" დროშით [illegible] ქუჩიდან და განაგრძობდნენ ზედ განუწყვეტელ ხმაურობას. შეიარაღებული ავტომობილებს რამდენიმე ათეული მოქალაქე და ტაშს უკრავდენ, „ურას" ყვიროდენ. გამოაჭენეს ახალი დროშები, წარწერებით: „გაუმარჯოს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს არჩევნებისათვის და გაუმარჯოს საბჭოთა მთავრობას". ამბობდნენ ბოლშევიკურ ფურცლებს.

**როგორ შეხვდა ბოლშევიკებს ხალხი?**

რამდენჯერმე მიმართეს ამ ხალხს საბჭოთა კომიტეტის სახელით დაბრუნებულიყვნენ ადგილიდან, ხელი არ შეეშალათ პროცესიის მსვლელობისათვის, მაგრამ მათ ეს ყურად არ იღეს. მუშების ერთი ნაწილი ამბობდა—თავი დაანებეთ, იღრიალებენ, დაიღლებიან და წავლენ და ეგენი განაგრძობდენ გზას, მუშების მეორე ნაწილი გარს შემოერტყა ავტომობილებს და გაიძახოდნენ: „ძირს ქიამილ ფაშას აგენტები, ძირს რუსულ-ოსმალური იმპერიალიზმი", „წადით არზრუმში", „ენვერ ფაშას მოსყიდულნო აგენტებო" და სხვ. მთელს ამ ზედა ხალხს მტკიცეთ ჰქონდა შეგნებული, რომ ბოლშევიზმის სახით გვევლინება ოსმალეთი.

მათი ავტომობილები დაიძრა. ყველას გული [illegible], მაგრამ გაჩერდნენ „დიდების ტაძრის" წინ და კვლავ განაგრძეს ღრიალი, რამაც ყველანი აღაშფოთა. აქ მოძალადეებს დაუპირდაპირდნენ მუშები და ლამის მუშათა მუშტების ქნევით და სხ...

დადგა ისეთი წამი, როცა მთელი ხალხი მზათ იყო დაეცა ამ ხულიგნებს და დაუბრუნოს მთელი ხალხი მოითხოვდა მათ დაპატიმრებას...

უნდა აღინიშნოს ჩვენი მილიციის სასახელოდ, რომ ის ამ დროს ხალხში იდგა და ამშვიდებდა, მაგრამ მოთმინებიდან გამოსული მუშები აუხტნენ ავტომობილებზე ერთ თვალის დახამხამებაში სულყველანი ჩამოყარეს იქიდან და თითონ ნახლდა შიგ. ჩამოგდებულებს ხალხი დაეცა და შეექნა ცემა ტყეპა. და მხოლოდ მილიციის ჩარევამ იხსნა ბოლშევიკები ხალხის რისხვისაგან.

პირველ ავტომობილზე იდგნენ ა. ხელაძე და ა. აბდუშელიშვილი. ხალხმაც ერთხმად დაიძახა: „გაუმარჯოს საქართველოს, გაუმარჯოს თავდაცვას, ძირს ბოლშევიზმი, ძირს რუსულ-ოსმალური იმპერიალიზმი".

**ვინ იყვნენ „კომუნისტები"?**

აი მათი გვარები: 1) ახალხოროვი გულელი ივანეს ძე, 2) ფირიაშვილი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე, 3) მაისურაძე ალექს. ივანეს ძე, 4) ანჩაბაძე სურენ ანდრიანის ძე, 5) აგანიანი [illegible] არუთიანის ძე, 6) ვოსკოიანი გურგენ ვაგანის ძე, 7) მაკ გიორგი ქრისტეფორეს ძე, 8) გალუსტიანცი ალექსი დავითის ძე, 9) მირზოიანცი რუზენ ალექსან. 10) კოჩავა იაკობ მიხეილის ძე, 11) პოპხოზიშვილი ირაკლი ივანეს ძე, 12) ლომაია აკაკი, 13) [illegible] ალექსანდრე ანდრ., 14) ჯაფარიძე ხვარამ გიორგის ძე, 15) ქურიძე ნატალია პლატონის ასული, 16) სარქისოვა ასია აბრაამის ასული, 17) ქართველიშვილი სამსონ ალექსან., 18) ხარაჩევი ირაკლი ილიას ძე, 19) იუზბაშევი გიორგი ივანეს ძე, 20) სოხაძე ლორენტი სიმონის ძე, 21) გრიქუროვი იაკობ ნერსესის ძე, 22) თუმანიანცი არამ ამბარცუმის ძე, 23) შიხიშვილი ქარუმა სიმონის ძე, 24) მელიქ [illegible] მარია ალექსანდრეს ასული, 25) ასათიანი შალვა [illegible] მიხეილის ძე, 26) გოლოვკოვი პავლე სამუილის ძე, 27) [illegible] კონსტ. დანიელის ძე, 28) კალანდაძე პროკოფი გიგოლის ძე, 29) როსტიაშვილი გაბრიელ გიორგის ძე, 30) [illegible] ლევან როსტომის ძე, 31) მეტრეველი ივანე გრიგოლის ძე, 32) ადამია ლავრენტი ანტონის ძე, 33) კუჭავა სტეფანე დავითის ძე, 34) ლომიძე თამარა ივანეს ასული, 35) ლისიცინა ანნა არტემის ასული, 36) ბიბინეიშვილი მარონ და მისი მეუღლე ლოლა.

რაზმინოვიჩი ზახარი მიიმალა. განჩხრეკილ იქნა მისი ბინა, სადაც აღმოჩნდა ბომბა, საბეჭდავი მანქანა, ცინტოველები, ტყვიები და სხვ.

აი ეს ხალხი ლამობდა საბჭოთა მთავრობის გამოცხადებას თუ არა მისთვის კარგი ნიადაგის მომზადებას მაინც!..

**პროცესია ძმათა სასაფლაოსკენ.**

მართალია ამ ხულიგანურმა გამოსვლამ ხელი შეუშალა პროცესიის მსვლელობას, ბევრი ხალხი დარჩა რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ მიუხედავად ამისა ძმათა სასაფლაოსკენ მიმავალი პროცესია მაინც რაღაც გრანდიოზული გამოდგა. პროცესიის თავი რომ მიხეილის ქუჩაზე მდებარე ხიდის კარკასთან იყო, ბოლო ამ დროს ალექსანდრეს ბაღთან უწევდა. მთელი მადათოვის კუნძული და მიხეილის ქუჩა ტროტუარებზეთურთ ხალხით იყო გაჭედილი. ბევრი მიემართებოდნენ აგრეთვე ძმათა სასაფლაოსკენ ჩერქეზოვის ქუჩით.

საუცხოვო სანახავი იყო რუსთაველის პროსპექტი, როცა ერთად ნოე ჟორდანიამ ჩამოიარა ევგ. გეგეჭკორთან ერთად. ისინი და მთავრობის სხვა წევრები ძმათა სასაფლაოზე მიემგზავრებოდენ. ამ დროს ქუჩის ორივე მხრის ტროტუარები ისე იყო გაჭედილი ხალხით, რომ გეგონებოდათ ხალხი მხოლოდ აქ დარჩენილა სადღესასწაულოთ. ხანგრძლივი ტაშით, ოვაციებით და ვაშას ძახილით გაცილა ხალხმა მთავრობის თავმჯდომარე.

ორის ნახევარი იქნებოდა დაახლოვებით, როცა პროცესიამ ძმათა სასაფლაოსთან მიაღწია მთლიანად. გზათა სადღესვები უკვე შემკობილი იყო ყვავილებით, რომელსაც ემატებოდა თითო თითოდ მოძღვნილი ყვავილები.

**ძმათა სასაფლაოზე.**

დიდებული სურათია. მთელი [illegible] მინდორი ხალხითაა გაჭედილი. ერთი ტრიბუნიდან ხმის მიწვდენა ხალხისთვის სრულიად შეუძლებელია. გაიხსნა ტრიბუნა სამ ალაგს. თავმჯდომარეებად: ილ. გიორგაძე, ს. დოლიძე, ს. დობორჯგინიძე. თავმჯდომარეთა მისალმების შემდეგ იწყება სიტყვები.

პირველ ტრიბუნას საერთო ტაშის ცემით და ვაშას ძახილით იკავებს ნოე ჟორდანია. მიულოცავს ის რა დიდებულ მუშათა დღესასწაულს, დასძენს, რომ მათ უკვე იციან თუ რას ნიშნავს პირველი მაისი. ორატორი აღნიშნავს, რომ ყველა სახელმწიფოში არის ამ დღეს საერთო და საკუთარი ლოზუნგები. საერთო ლოზუნგებია: 8 საათის სამუშაო დღე, ერთა სოლიდარობა, ერთა მშვიდობიანობა, სოციალიზმი. საკუთარი ლოზუნგები პირობების თანახმად მუშავდება. დღეს ჩვენ გვემუქრება რუსულ-ოსმალური იმპერიალიზმი, ამიტომ ჩვენი საკუთარი ლოზუნგი უნდა იყოს: გაუმარჯოს შინაგან ერთობას, ძირს გარეშე ძალის შემოსევა!..

აღფრთოვანებული ხვდება საზოგადოება ვალ. ჯუღელის გამოსვლას. ჩვეულებრივის გრძნობით ის ამბობს, რომ შესაძლოა მართლაც დავრჩეთ, შესაძლოა მუშათა კლასს და გლეხობას სხვა კლასები არ დაეხმარონ როგორც კლასები, მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც შევძლებთ მტრებზე გამარჯვებას. აქ დამარხულ ამხანაგებთან ერთად ვიმარჯვებდით მტრებზე, ასევე გავიმარჯვებთ ახლაც, მიუხედავად ამისა, შეიძლება კიდევ მრავალი მოვასვენოთ აქვე ჩვენი საუკეთესო ამხანაგები. ამიტომ დავსდოთ ფიცი, რომ მებრძოლნი არ ვუღალატებთ, რომ მათ დავეხმარებით. გაუმარჯოს რევოლუციონურ თავდაცვასო—ასე დაამთავრა მან თავისი სიტყვა.

ევგ. გეგეჭკორმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ის მთავრობა, რომელიც ამჟამად სათავეში უდგას საქართველოს, ძველად თვითმპყრობელობის დროსაც ხალხთან იყო. ის მასთან ერთად ებრძოდა როგორც მეფის, ისე დენის. ასევე თავის ძალებს დაარჩევს ეს მთავრობა, არ განსაცდელიც არ უნდა მოელოდეს ქვეყანას. გარეშე ძალა კი, რომელიც ცდილობს ჩვენს დაპყრობას, იმედებს ამყარებს შინაურ არევ-დარევაზე. დავუმტკიცოთ, რომ ის სასტიკად სცდება. გაუმარჯოს შეერთებულ ძალას, გაუმარჯოს სამართლიან საქმეს. სირცხვილი იმათ, ვინც ამ დროს სილაჩრეს გამოიჩენსო.

აკაკი ჩხენკელის ჩვეულებრივ დინჯ სიტყვას ყურადღებით ისმენდა ხალხი. როცა ჩხენკელი ტრიბუნაზე გამოჩნდებოდა, ბევრი სხვა ორატორების თავს ანებებდნენ და მისკენ გარბოდნენ. ჩხენკელმა სამივე ტრიბუნა შემოიარა და ყველგანთვის მას გულდასმით უსმენდნენ.

სამჯერ ილაპარაკა ნოე რამიშვილმა, ორჯერ ქართულად, ერთხელ რუსულად. მან აღნიშნა, რომ პირველ მაისს არა ერთს და ორს ქვეყანაში მოხდება სისხლის ღვრა, მრავალ ქვეყნებში მოხდება სისხლის ღვრა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის. ამ მხრით გამონაკლისს შეადგენს ჩვენი ქვეყანა და საბჭოთა რუსეთი, მაგრამ საბჭოთა რუსეთის მუშათა კლასი დამონავებულია. პირველ მაისს იქ მას ამუშავებენ, რუსეთის მუშათა კლასი გამოთიშულია საერთაშორისო პროლეტარიატის არმიიდან. ეს მოიმოქმედეს ბოლშევიკებმა. ახლა ისინი ოსმალეთის იმპერიალისტებთან შეთანხმებით ცდილობენ ჩვენს დანგრევას, მაგრამ საქართველოს დემოკრატიას შესწევს ძალა თავის დაცვის და მტრის დამარცხებისა.

ორ ალაგას ვნახეთ ტრიბუნაზე დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის ამხანაგი ს. მდივანი, რომელიც დამფუძნებელ კრების სახელით თფილისის პროლეტარიატის წინაშე სალამს მიუძღვნიდა მთელს საქართველოს. აღნიშნავდა, რომ ამჟამ კავკასიაში პირველობა დაკისრებული აქვს საქართველოს დემოკრატიას. ის უძღოდა წინ დღემდე სხვა ერებს, დღეს შემდეგაც ის უნდა წარუძღვეს. ამიტომ საჭიროა შინაური ერთობა, გაორკეცებული მუშაობა, რომ გარედან მოხდენილებული მტერი უკუგდებულ იქნასო.

ვ. კოტეტიშვილი (ს. ფ.) იმ აზრს ანვითარებდა, რომ ერი და სოციალიზმი პირველმა მაისმა შეაერთა, რომ ვიბრძოლებთ როგორც სოციალიზმისათვის ისე საქართველოსათვის. გარედან წითელი დროშით იუდა მოდის, რომელსაც საქართველოს ხალხი შესაფერ პასუხს გასცემსო.

გრ. გიორგაძის და რ. არსენიძის გრძნობით სავსე სიტყვები შეეხებოდნენ შინაური ფრონტის გამაგრების და გარეშე მტრების წინააღმდეგ მედგარი ბრძოლის მოწოდებას.

ვალიკო ჯუღელის მეორე სიტყვა ისეთსავე აღფრთოვანებას იწვევდა ხალხში, როგორც პირველი. საქართველო არ იტყვის ნ. ჟორდანიას მთავრობაზე არ გვინდა. ის ამ მთავრობასთან ერთად ან დაიხოცება, ან გაიმარჯვებსო.

მიხ. თამაზაშვილი აღნიშნავდა, რომ მუშათა დღესასწაულის გადახდა იმ სახით, როგორც ეს დღეს ჩვენ მოვაწყვეთ იმის ნიშანია, რომ მუშათა კლასი უკვე გამარჯვებულია. მხოლოდ ეს წონასწორობა უნდა შევინარჩუნოთ, როგორც გარეშე, ისე შინაური მტრებისაგან.

ი. ორმოცაძის სიტყვა გამომხატველი მოწოდება იყო. თუ შინით მაგრათ ვიქნებით, გარეშე მტრები ვერას დაგვაკლებსო.

ი. იმედაშვილის და მ. სტურუადის სიტყვებიც ბრძოლისათვის მოწოდება იყო.

გრ. ლორთქიფანიძემ აღნიშნა, რომ ჩვენი სახელოვანი ჯარი და გვარდია საზღვრებზე დგანან ფხიზლად. რომ ისინი წინ წაწევენ თუ ამას საჭიროება მოითხოვს და გაიმარჯვებენ იქ, სადაც მუხანათი მტერი დაიხოქვება. ამასთანავე მან აღნიშნა, რომ ბევრს შეიძლება გაუკვირდეს ის მოვლენა, რომ ჩვენში სოციალისტური მთავრობაა, დროშაზე კი აწერია: ძირს კაპიტალიზმი, გაუმარჯოს სოციალიზმს. მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ საქართველოს პროლეტარიატი საერთაშორისო პროლეტარიატის არმიის მხოლოდ ერთი პატარა რაზმია და თქვენ კარგათ იცით, თუ რა მოუვა პატარა რაზმს, როცა ის მთავარ არმიას შეუთანხმებელ ნაბიჯს გადადგამსო.

სილ. ჯიბლაძემ თავის აღფრთოვანებულ სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ რევოლუცია იქ (რუსეთში) დამარცხდა, აქ კი—საქართველოში იმარჯვებს. გაუმარჯოს საერთაშორისო დემოკრატიას, გაუმარჯოს თქვენსო.

დამფუძნებელი კრების წევრმა ამხ. ტატიშვილმა აღნიშნა, რომ ჩვენმა მუშათა კლასმა ბრძოლაში შეინარჩუნა წითელი დროშა, ბრძოლითვე დაიცავს მას. 26 მაისი—საქართველოს დამოუკიდებლობა—ეს სათამაშო ბურთი არ არის. ქართველმა ხალხმა იცის მტერთან მტრობა, მოყვარესთან მოყვრობაო.

ბოლოს მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „თფილისის მუშათა კლასი ულოცავს მთელი ქვეყნის თავის მოძმეთ პირველი მაისის ბრწყინვალე დღესასწაულს და იმავე დროს აცხადებს მსოფლიო მუშათა კლასს, რომ საქართველოს მუშები იძულებულნი შეიქნენ დღევანდელ დღეს მილიტარიზმის საპროტესტო ლოზუნგის გვერდით დაესვა მეორე ლოზუნგი—რევოლუციური თავდაცვა, ის დღეს იარაღდება, ვინაიდან მას აიძულებს ამაზედ რუსეთის კომუნიზმი და მისი მოკავშირე ოსმალეთი. გაუმარჯოს მუშათა კლასის სოლიდარობას, ძირს იმპერიალიზმი."

**მიტინგების შემდეგ.**

მიტინგის დაშლის შემდეგ იქვე მინდვრათ გაიმართა ცეკვა თამაში, სიმღერები. ვალ. ჯუღელის და ზ. გურულის მეთაურობით გაიმართა აგრეთვე ცხენების ჯირითი სახალხო გვარდიელების მიერ. საღამოს ოთხ საათამდე ხალხი არ დაშლილა. დღესასწაულში მონაწილეთა რიცხვი ასი ათასს ბევრათ აღემატებოდა.

საღამოთი თეატრებში და განსაკუთრებით მუშათა კლუბებში გაიმართა საზეიმო საღამოები. გაიხსნა ნაძალადევის მუშათა სახლი გ. ვ. პლეხანოვის სახელობაზე, სადაც ამხ. ნ. ჟორდანიამ ზეიმის შესაფერი მისალმება—სიტყვა მიუძღვნა მუშათა ხალხს.

სახელმწიფო თეატრში ამ დღეს დასრულდა სათეატრო სეზონი. დადგმულ იქნა ოპერა მუშებისათვის—„ქეთო და კოტე". თეატრის დარბაზი, როგორც ყოველთვის მუშებისათვის ოპერის დადგმის დროს,—პირველ მაისსაც გაჭედილი იყო. აქ თფილისის პროლეტარიატმა თავისი მადლობა მიუძღვნა სახელმწიფო თეატრის [illegible] მსახიობებს და სახელმწიფო თეატრის გამგეობას. მუშათა წარმომადგენელმა განაცხადა: ვფიქრობ, რომ გამოვხატავ თფილისის პროლეტარიატის აზრს, თუ მის სახელით მადლობას მოვუძღვნი ამხანაგ მსახიობებს მათი შრომისათვის. საზოგადოებამ ნიშნად სრული თანხმობისა დაუსრულებელი ტაშით დააჯილდოვა ეს სიტყვები.

## დამფუძნებელი კრება

30 აპრილის საგანგებო სხდომა.

მთავრობის თავმჯდომარის შემდეგ ლაპარაკობენ ფრაქციათა წარმომადგენლები:

აკ. ჩხენკელი (სოც. დემ.) ჩვენი ფრაქციის სახელით უერთდება მთავრობის თავმჯდომარეს. დამფუძნებელი კრება გვერდში ამოუდგება მთავრობას და გაუზიარებს მას იმ დიდ მოვალეობის ასრულებას, რომელსაც მოითხოვს დღევანდელი მომენტი. არა მარტო დამფუძნებელი კრება, არამედ—მთელი შემოქმედებით აპარატი, რომელიც შექმნა სახელმწიფოებრივმა მუშაობამ, ამოუდგება მთავრობას გვერდში, რათა ძლიოს კარზე მომდგარი საშიშროება. მე გამოვთქვამ სრულ რწმენას, რომ ქართველი ერი განურჩევლად რწმენისა და მიმართულებისა ფეხზე დადგება როგორც ერთი კაცი და ბოლომდის შეასრულებს თავის მოვალეობას.

მეტია იმაზე ლაპარაკი, რომ ჩვენი ჯარი და გვარდია შეასრულებს თავის მოვალეობას. ის უკვე გაწრთვნილია რევოლუციონურ ბრძოლაში და როცა კითხვა მიდგება საქმეზე ერთსულოვნად დაიცავს იმ განძს, რომელსაც დამოუკიდებლობა ეწოდება. მე თითქოს ვგრძნობ ერის მაჯის ცემას. არასოდეს ისე არ ეწამა საქართველოს თავისუფლება, როგორც დღეს, იგი გამოიჭედება თავის ბუნებრივ საზღვრებში. შემდეგ ორატორი აღნიშნავს, რომ საქართველო ეს არის ჯვარედინი გზა, სადაც ორი პრინციპი ერთმანეთს შეებრძოლება. აზიის უკულტურობას ევროპის კულტურა ებრძვის, აზიის ჩამორჩენილობას ევროპის დაწინაურება და რადგანაც საქმე ისე სდგას, როგორც ის საერთოდ, რომელიც ჩვენ კარს მოვადგომია, ეხება კულტურულ ქვეყნებსაც. ეს ჩვენ ენერგიას გვმატებს და ჩვენი ერი შესძლებს დაიცვას თავის თავი, დამოუკიდებლობა, რევოლუციის მონაპოვარნი, ყოველივე ეს საუკეთესო განძია. ამას იცავს ევროპის დემოკრატიაც თავის სამშობლოში. ჩვენ მიზნადმენი არ ვართ, ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავთ, ჩვენ მეზობლურ კავშირს არ გავურბოდით არავისთან და როდესაც მეზობელი მოინდომებს ჩვენი თავისუფლების ლახვას, ჩვენ არავითარ მსხვერპლს არ მოვერიდებით, შევებრძოლებით მტერს და დავიცავთ ჩვენს თავისუფლებას. თქვენ იცით, რომ იყო მომენტი, როდესაც ბოლშევიკები თავდაცვით პოლიტიკას აწარმოებდნენ. ისინი იცავდნენ თავის თავს გარეშე და შინაური მტრისაგან, მაშინ ბოლშევიკები ამბობდნენ, რომ ვიცავთ რევოლუციასო. საქართველომ დღიდან თავის დამოუკიდებლობის გამოცხადებისა თავის თავი ნეიტრალურ სახელმწიფოთ გამოაცხადა და ის არავის შინაურ საქმეებში არ ჩაერევა და არც გაერევა სხვა ქვეყნის [illegible]. ის იქნება ლოიალური თავის საზღვრის გარეთ ყველას მიმართ. დღეს ბოლშევიკები სულ სხვა ფერს იღებენ, ისინი ეწევიან თავდასხმით ომს, ბოლშევიზმი სოციალურათ მოკვდა. მისი ნაცვლად იყო რუსეთის ეკონომიურათ განადგურება, ტრანსპორტის მოშლა, ტილებთან ბრძოლა ეს არის ბოლშევიზმის გაკეთებული. ეხლა იგი ლამობს ძველის გზით უშველოს თავს. მისი მამოძრავებელი ღერძი ეს არის იმპერიალიზმი, სხვა ერთა დაპყრობა. ბოლშევიზმმა დაიწყო საქმე სოციალიზმით ათავებს ცარიზმით. ბოლშევიკებმა მოსპეს დემოკრატია, ერობა და ეკონომიური ორგანიზაციები გააუქმეს, ბოლშევიზმმა გაუხსნა გზა დესპოტიზმს, მთელი მათი პოლიტიკა დესპოტიზმისაკენ არის მიმართული, აქედან გამომდინარეობს მათი კავშირი არზრუმთან. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ბოლშევიკები ზურგს აქცევენ ევროპას და აზიისაკენ მიილტვიან შავი საქმეების გასაკეთებლათ. 1918 წ. და 20 წ. არის ამ ორ ხანაში მსგავსება. ბოლშევიზმმა მაშინ მოგვცა ბრესტის ხელშეკრულება. ამას დღესაც ადგილი აქვს. დღესაც ერთი ერმანეთის უახლოვდება არზრუმში და მოსკოვი ბაქოთ, იგივე ბრესტი არის [illegible] ოსმალეთისა. მაგრამ მაშინ ჩვენ საქმე გვქონდა გამარჯვებულ ოსმალეთის იმპერიალიზმთან, დღეს კი საქმე გვაქვს გაკოტრებულ რუსეთის ბოლშევიზმთან და დამარცხებულ ოსმალეთთან.

ორატორი იმედს გამოსთქვამს, რომ, როდესაც დაისმება საკითხი საქართველოს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მთელი ერი დადგება ფეხზე და დაიცავს თავის უფლებებს და რევოლუციის მონაპოვარს (ტაში).

ზაქრო ნუცუბიძე (ს. ფ.). საქართველოს წინ ერთხელ კიდევ აიმართა საშინელი საფრთხე. აღსანიშნავია, რომ დღევანდელი საფრთხე და კარზე მომდგარი ძალა განსაკუთრებული ხასიათისა არის. მისი გზა მოფენილია ილუზიებით. საქართველოს ცნობიერობის [illegible], დამფ. კრების ვალია გაფანტოს ეს ილუზიები და დაანახოს ხალხს მომხდური ძალის ნამდვილი სახე. აქ არავინ უნდა იფიქროს, რომ როდესაც ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას ბოლშევიკებთან, ამას აქვს პოგრომული ხასიათი. არა ჩვენ შორის არის ბრძოლა სახელმწიფოებრივ ნიადაგზე. ბოლშევიზმის ჩვენში შემოსვლა ნიშნავს საქართველოს სახელმწიფოებრივ ხასიათის მოსპობას. ჩვენ, ყველა პარტიები, რომლებიც ვმუშაობთ დამფ. კრ. ფარგლებში საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე და ამიტომაც სასტიკი და ულმობელი იქნება ჩვენი შებრძოლება (ტაში). ჩვენ ვერავის გადავცემთ იმ კლიტეს, რომლითაც დაკეტილია საქართველოში შემოსასვლელი კარები (საერთო ტაში). შესაძლებელია ბოლშევიზმი, როგორც სოციალური მოვლენა მისაღებია საერთოდ, მაგრამ იგი მიუღებელია ჩვენთვის, პატარა ერისათვის. ჩვენ ვერ მოვახდენთ ჩვენს თავზე ამ ექსპერიმენტებს (ტაში). ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მხოლოდ ის, რაც უკვე ნათელი და განმტკიცებულია დიდ ერებში. მაგრამ ჩვენ გავუწევთ სასტიკ წინააღმდეგობას სხვა მხრივაც. ჩვენთვის ნათელია კავშირი ბოლშევიზმის და ოსმალეთის შორის. ჩვენ ვიცით ფასი ამ ბიზანტიურ კავშირის. ოსმალეთის ფაშებს და მეფეებს არ შეუძლიათ სოციალიზმის დამყარება. ისტორია არ მიიმართება სტამბოლის და არზრუმის გზით. ჩვენი გზა ევროპისაკენ არის. ამიტომ ჩვენ მხოლოდ მახვილით შეგვიძლია გავცეთ პასუხი ასეთ ძალას (ტაში). ნურავინ იფიქრებს, და ნურავინ დაამყარებს იმედს შინაურ არევ-დარევაზე. მე როგორც ოპოზიციის წარმომადგენელი, ვაცხადებ: მართალია არსებობს უკმაყოფილება ხალხში, მაგრამ ამ უკმაყოფილებას ვერავინ გამოიყენებს და ტყუილად ნურავინ შეეცდება ამ ნიადაგზე ანარქიის ცეცხლის დანთებას. ყველა ჯგუფები და მიმართულებანი ამ საკითხში, სახელმწიფოს დაცვის საკითხში დაირაზმა მთავრობის და დამფ. კრების გარშემო და წინა პოზიციები ჩაიდება სამშობლოს დასაცავად (ტაში).

ლ. შენგელაია (სოც. რევ.) ბატონებო! მოახლოვდა კომუნიზმი [illegible]. დღეს თუ არა, ხვალ შესაძლოა ის მოადგეს ჩვენს საზღვრებს. ასეთ დროს განზე გადგომა იქნება ერის და ისტორიის ღალატი (ტაში). ვინც დღეს არ დაიცავს საქართველოს თავისუფლებას, მას ჩვენთან არ ექნება ადგილი, იგი ჩვენი მტერი იქნება (ტაში). აღერბეიჯანმა უღალატა თავის თავს. ხანებმა და ფაშებმა გაყიდეს მშრომელი ხალხი. მოხდა უდიდესი სირცხვილი. კომუნისტებმა ხელი გაუწოდეს ოსმალეთის ფაშებს და მათთან ერთად გამოილაშქრეს ჩვენ წინააღმდეგ, მაგრამ იციოდენ, რომ ქართველი ხალხი უომრად არავის დანებდება. ჩვენ გვაქვს მაგალითები: ესტონეთი, ლატვია და სხვა, რომლებმაც ძალით მოიპოვეს [illegible]. კომუნისტები [illegible] რომ, რომ საქართველოს შიგნიდან აფეთქებენ, მაგრამ ეს ტყუილი იმედებია. ქართველმა ერმა იცის თავისუფლებისათვის ბრძოლა, იცის სიკვდილი მისი გულისათვის და რაც მეტს იბრძოლებს ამ დამოუკიდებელ ცხოვრებისათვის, მით უფრო ძვირფასი და საყვარელი იქნება ჩვენთვის (ტაში).

ხ. კიდია. (ეროვ. დემ.) არკვევს საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და ანტანტის დამოკიდებულებას ჩვენთან. და ხაზს უსვამს იმ აუცილებელ მოთხოვნილებას, რომ საჭიროა ასეთ დროს მთელი ძალა უფლება გადაეცეს მხოლოდ მთავრობას. დასასრულ ორატორი მოუწოდებს მთავრობას მიიღოს ზომები და შემოუერთოს საქართველოს ბუნებრივი საზღვრები.

შემდეგ ლაპარაკობს გერ. ქიქოძე და ტერ-სტეფანიანი, რომლებიც აცხადებს, რომ ადგილობრივი სომხობა დაეხმარება საქართველოს ბრძოლაში.

გრ. ვეშაპელი (ნაციონალისტი): ბ.ბ. ბაქოში მოხდარი ამბები უნდა დაფასდეს არა სოციალური, არამედ საერთაშორისო პოლიტიკის მიხედვით,—ომში დამარცხებულმა რუსეთმა აღერბეიჯანის საშუალებით ხელი გაუწოდა აგრეთვე ომში დამარცხებულ ოსმალეთს; მათ ორივეს უნდათ ამ შეკავშირებით შეაშინონ ანტანტა, განსაკუთრებით ინგლისი და აიძულონ იგი ხელსაყრელ ზავზე; ბაქოს ამბები თავდაპირველად ემუქრება ინგლისის იმპერიას, როგორც სპარსეთ ინდოეთში, ისე მთელს სამაჰმადიანო აზიაში, რომლის აჯანყებას ფიქრობს ლენინი, რას იზამს ინგლისი?—ორში ერთი: ან იმით დაიცავს თავის ინტერესებს, რომ გზადვე შეკრავს ზავს ლენინთან, რამაც დაუთმობს შეიძლება ბაქოს, შეიძლება საქართველოს ხარჯზეც ან ვერ მოერიგება და ბრძოლით დაიცავს თავის სამფლობელოებს აზიაში—მაშინ ინგლისს ესაჭიროება დასაყრდენი საქართველოს დახმარება და ჩვენც სასიკეთო მოკავშირეობას გვთხოვენ.

მაგრამ შეიძლება ინგლისი ვერც ზავით და ვერც ომით ვერ აფერხებს განაწყობას რუსეთ ოსმალეთის კავშირთან რა მოხდება მაშინ? ნუ თუ ინგლისის ადგილს აზიაში რუსეთი ან ოსმალეთი დაიკავებს, რომლებიც ყოველთვის იყვნენ ისტორიული მტრები? არა!—მაშინ გამოჩნდება ასპარეზზე ახალი ძალა, მეორე ევროპა—დღეს დანაწევრებული გერმანია, რომელიც თითქოს უბრალო მაყურებელია რუსეთ ოსმალეთის ამბებისა, მაგრამ რომელიც არასოდეს არ გაუშვებს ხელსაყრელ მომენტს, რომ თავი დააღწიოს ვერსალის მარწუხს; მაშინ რუსულ-ოსმალეთის სათავეში იქნება გერმანია მოექცევა და იგივე, საქართველოსათვის კარგად ნაცნობი გერმანია დაიკავებს ინგლისის ადგილს აზიაში.

ორივე შემთხვევაში საქართველოს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით დიდი მნიშვნელობა აქვს და ხელსაც ვერავინ წაგვკრავს, თუ ერთი პირობა შევასრულეთ: ქართველმა ერმა უნდა მოახდინოს მობილიზაცია ყველა სამხედრო ძალებისა და კბილებამდის შეიარაღებული დადგეს თავის საზღვრებზე რომ ყოველნაირი ძალების შესახვედრათ მზად ვიყოთ, მტრის მტრობა შევეძლოს და მოყვრის მოყვრობა და ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი სუვერენიტეტი ყველასათვის უდავო და პატივსაცემი იყოს.

ამისათვის ქართულმა ლაშქარმა უნდა დაიჭიროს ის საკუთრივ, სამხედრო და ბუნებრივი საზღვრები, რომელიც დღეს სხვების ხელშია: ზაქათალა, მთელი ბორჩალო, ბათომი.

ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს სახელოვანი მხედრობა, რომლის სარდლობა მთავრობის თავმჯდომარემ ჩააბარა საუკეთესო გენერალს—კვინიტაძეს (კრება ოვაციას უმართავს სარ ადგილს) მალე დაამტკიცებს, რომ მას შეუძლია თავისი დღევანდელი ისტორიული მისიის შესრულება! (ტაში)

ვალიკო ჯუღელი. დღეს, როდესაც კვლავ მოადგა ჩვენ საზღვარს თურქ-ბოლშევიკური ბრბოები, ჩვენთვის უკვე ნათელია და აშკარა ის მოვლენა, რომ ყოველთვის არსებობდა კავშირი ბოლშევიკებს და ოსმალებს შორის. ამას ამტკიცებს ბოლშევიკების მთელი წარსული მოღვაწეობა, რომლებიც მაშინ მთავ წყობდნენ აჯანყებას ზურგში, როდესაც თავს გვესხმოდა ოსმალეთი. გაიხსენეთ თუ გინდათ ბათომის, ხოხუმის და სხვა ადგილების ტრაგედია და თქვენთვის უდავო გახდება მათ შორის არსებული კავშირი. მაშინაც კი; როდესაც თავს გვესხმოდა შავი გენერალი დენიკინი. არ დაინდეს საქართველოს მშრომელი ხალხი და აჯანყება მოაწყვეს შიგნით. მაგრამ მშრომელთ დარაზმული დემოკრატია ყოველთვის უკუაქცევდა მათ მუხანათურ თავდასხმას.

დღეს მდგომარეობა უკეთესია. თუ

წინათ ყველა ჩვენთაგანში იყო რწმენა და ორჭოფობა, დღეს როდესაც დავინახეთ ნამდვილი სახე ბოლშევიზმისა, ჩვენში აღარ იქნება ადგილი ამ ორჭოფობას (ტაში). შესაძლებელია ახლაც მოიპოვებიან შიგნით არეულობის გამომწვევნი, მაგრამ მათ სასტიკათ ჩავაქრობთ მოღალატეების და ავაზაკების გამოსვლას (ტაში). ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს ყოფნა არ ყოფნის საკითხი სდგას ჩვენს წინაშე. ყველანი დიდიან-პატარიანად და მტერს ერთ ნაბიჯს არ დავუთმობთ. (ტაში). მოქალაქენო! მე რა თქმა უნდა წინააღმდეგი არა ვარ კეთილ მეზობლურ განწყობილებას და მშვიდობიან მოლაპარაკების, მაგრამ ჩვენ ყველამ შემთხვევისთვის მზათ უნდა ვიყვეთ, რომ წითელ იმპერიალიზმს სასიკვდილო ლახვარი ჩავცეთ თუ იგი გაბედავს და ჩვენი თავისუფლების მოსპობას შეეცდება. მე მრწამს, რომ აქ, საქართველოს საზღვრებთან გათხრილია ბოლშევიზმის სამარე. აქ მოხდება მისი დამხობა და დასამარება. თუ ბოლშევიკებმა გაბედეს და გადმოლახეს ჩვენი საზღვრები, ჩვენ ჯარს და გვარდიას მიეცემა საშუალება, კიდევ უფრო მაღლა ააფრიალოს თავისი წითელი დროშა და განთავისუფლოს ყუბანის და თერგის დემოკრატია ბოლშევიზმის ტირანიისაგან (მხურვალე ტაში).

როდესაც აქ მარტოობაზე ლაპარაკობენ, მე მგონია, ეს არის მცდარი. ჩვენ გვყავს მოკავშირე და ეს არის ევროპის დემოკრატია. როდესაც იგი შეიტყობს, რომ საქართველოს პროლეტარიატი თავდადებით იცავს თავის თავისუფლებას და რევოლუციის მონაპოვარს, მთელი მისი სიმპატიები ჩვენ მხარეზე იქნება. მეორე მოკავშირე ეს ისევ რუსეთის დემოკრატია იქნება. დღეს იგი უძლურია, მკვდარია, ბოლშევიზმის ბორკილებით არის შებოჭილი, მაგრამ მე მრწამს იგი მალე შესძლებს ამ ტირანების უღლის მოხსნას, მე მრწამს აგრეთვე, რომ სომხეთის მმართველი პარტია დაშნაკცუტიუნი, რომელიც ყოველთვის მტერი იყო სომხეთის ხალხისა, დღეს მაინც შეიგნებს თავის ინტერესებს და გვერდში ამოგვიდგება ამ წმინდა ბრძოლაში. ჩვენ დღეს გვყავს გაწვრთნილი ჯარი და ომში გაკაჟებული გვარდია (ტაში). რომ ეს ძალა შესძლებს შეინარჩუნოს თავისი მთლიანობა და ქვეყანას აცილებს ამ საფრთხეს. (ტაში).

თუ ჩვენ სავსებით შევიგნებთ იმ სიტყვების აზრს და მიზანს, რომლითაც დაასრულა აქ თავის სიტყვა მთავრობის თავმჯდომარემ, მაშინ ვერავითარი საფრთხე ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს. მაშინ გამარჯვებაც უზრუნველყოფილია (ტაში). მხოლოდ საჭიროა მთავრობამ ერთი გარემოებას მიაქციოს ყურადღება, ეს ის, რომ ჩვენმა ნორჩმა ახალგაზრდობამ გამოიჩინოს თავისი წვლილი. მთავრობამ [illegible] გამოიჩინოს, რომ ეს კლასი როგორც წინათ, ახლაც არ დარჩეს განზე. მან სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ამათ წინააღმდეგ. მაშინ მშრომელი ხალხი მეტი აღფრთოვანებით დაიცავს და ის დროშა წითელი და სამფეროვანი, რომელიც მიიღო დღეს მან, არ დაუშვებს, გამარჯვებული დაბრუნდება და აქ ამ დარბაზში მოიტანს საქართველოს ბრწყინვალე გამარჯვებას. (ტაში).

### რეზოლუცია.

მოისმინა რა მთავრობის თავმჯდომარის განცხადება საქართველოს ლეგალური მდგომარეობის შესახებ და მსჯელობა ამ განცხადების გამო, დამფუძნებელი კრება აღიარებს:

ქართველმა ერმა რევოლუციის პროცესში თავისი დამოუკიდებლობა აღადგინა, გახდა სრული ბატონ-პატრონი თავისი ბედ-იღბლისა, ხალხის უზენაესი ორგანო—დამფუძნებელი კრება შექმნა, სახელმწიფოში დემოკრატიული წეს-წყობილება დაამყარა და რევოლუციური მონაპოვართა ფხიზელი დარაჯი შეიქნა.

საქართველოს დემოკრატიამ ორი წლის განმავლობაში საკუთარი ძალ-ღონით უდიდესი სიძნელენი გადალახა შიგნით და გარეთ, ის მტკიცეთ იცავს მეზობლებთან კეთილ განწყობილებას და დაწინაურებულ ევროპასთან მჭიდრო დამოკიდებულებას.

საქართველოს ლეგალურ [illegible] და საერთაშორისო [illegible] ამაოთ არ ჩაუვლია, იგი იცნო ევროპიულმა სახელმწიფოებმა და მით მან ფეხი შედგა თავისუფალ ხალხთა ოჯახში.

ჩვენი მისწრაფება ნათელია და სამართლიანი. დღეს ერის და დემოკრატიის ყურადღებას განიზავს: დამოუკიდებლობის და თავისუფლების—[illegible] მთელის.

ვევლინება ბოლშევიზმის სამოსელში გახვეული რუს იმპერიალიზმი, რომელიც ლახავს ჩვენი დამოუკიდებლობას და მთლიანობას დაემუქრა.— ეს იმპერიალისტური შავი ძალა უკვე შემოიჭრა აზერბეიჯანში, რომლის პარლამენტმა, თანახმად მოსკოვ-ბოლშევიკების ულტიმატუმისა, გადასცა მას თავისი [illegible] და მით მშრომელ ხალხს ძველი უღელი დაადგა და ევროპიდან აზიისაკენ აქნევინა პირი.

ამას ვერ ჩაიდენს საქართველოს დამფუძნებელი კრება და მთავრობა.

ამას ვერ ჩაიდენს ქართველი ერი და საქართველოს დემოკრატია.

ის სამშობლოს, დემოკრატიას, თავისუფლებას ვერ უღალატებს, ვერ გასცემს, ვერ გაჰყიდის: ევროპისაკენ ის პირს აზიისაკენ ვერ იბრუნებს. დემოკრატიზმის მაგიერ დესპოტიას სიცოცხლეს ვერ დაუთმობს; ანარქიის ტალღებში ხალხს ვერ გადისვრის.

დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა—ჯარი და სახალხო გვარდია და მთელი შეიარაღებული ხალხი შეურყევლად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

დამფუძნებელი კრება მიმართავს ევროპის დემოკრატიას, რომ იმანაც ამოიღოს ხმა უზენაესი სამართლიანობის დასაცავად, და ღრმად სწამს, რომ განსაცდელის დროს ევროპის დემოკრატია არ დასტოვებს საქართველოს დემოკრატიას მარტოდ ბრძოლის ველზე.

დამფუძნებელი კრება მთელი თავისი არსებით მხარს უჭერს მთავრობას წმინდათა წმინდის—მისი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების დაცვის საქმეში, სავსებით ადასტურებს მთავრობის მიერ თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს და ავალებს მას ჯეროვანი ცენტრალიზებული ენერგიით განაგრძოს დაწყებული საქმე ქვეყნის საკეთილდღეოთ.

დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს მიმართოს საქართველოს ხალხს შესაფერი მოწოდებით.

დასასრულ მიღებულ იქნა დეკრეტი [illegible] ხაზინიდან მთავრობის განკარგულებაში 300 მილ. მანეთი დაცვის საჭიროებისათვის.

## ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

საქართველოს შვილნო!

ჩვენი ქვეყნის საზღვრებს მტერი უახლოვდება.

უდიდესი განსაცდელის ჟამს სამშობლო თავდაცვისათვის მოუწოდებს ყოველ მოქალაქეს.

ჩვენს ქვეყანას მტრად ევლინება ბოლშევიზმის სამოსელში გამოწყობილი რუსეთის იმპერიალიზმი.

შინაური ბრძოლით და [illegible] განადგურებული რუსეთის, ამ უზარმაზარი ქვეყნის დამპყრობელი, [illegible] ბრძოლებს უკვე მიუდგებიან არსებულის ფეხებს, ჩვენს ისტორიულ მტრებს და [illegible] ოსმალეთის [illegible] განათლებული ევროპის შემუსვრას.

ქართველმა ხალხმა იცის, რომ ორი წლის დამოუკიდებელი არსებობის განმავლობაში საქართველოს არც ერთხელ არ მოუნდომებია სხვისი მიწა-წყლის მიტაცება, მეზობლების დაჩაგვრა, იმათზე ძალადობის გამოჩენა.

ჩვენს ირგვლივ, მოსაზღვრე ქვეყნებში, სანამ რუსეთი [illegible], სისხლით შექმნილი [illegible] ცვლილება. ამ დროს ჩვენი ხალხი, საშინელი ომისაგან [illegible] დაიცავ მშვიდობას; ჰქონდა ახალი.

ჩვენი პატარა ქვეყანა შეუპოვარი ცდა იყო არა მარტო თავისი შვილებისათვის; აქ სხვა ხალხის დევნილი შვილებიც იფარებდნენ თავს.

ჩვენ მოვაგროვეთ დენიკინელებისაგან დამარცხებული ბოლშევიკები, ჩვენს ქალაქებს ამოეფარნენ თვით დამარცხებული დენიკინელები; ჩვენსკენ გამორბოდნენ სომხეთიდან აწიოკებული თათრები; ჩვენს ქვეყანაში პოულობდნენ ბინას აზერბეიჯანში დევნილი სომხები.

მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში არც ერთ ჩვენს მეზობელ ხალხს არ უნახავს დამპყრობელი ქართველები.

ომისა და ანარქიის ქარტეხილიდან შემოხიზნულები ჩვენი მშვიდობიანი ქვეყნის მიწას ჰკოცნიდენ, სამოთხეს უწოდებდენ საქართველოს.

დღეს რუს თათართა მბრძანებლებს სურთ ააოხრონ, ჯოჯოხეთათ დაამსგავსონ ჩვენი ქვეყანა; სურთ ევროპასთან ომში ჩაითრიონ ჩვენი ხალხი.

ჩვენმა მეზობელმა აზერბეიჯანმა გასწყვიტა ჩვენთან კავშირი და ანარქიის უფსკრულისაკენ გადექანა:

ამას არ ჩაიდენს ქართველი ხალხი.

ის სამშობლოს, დემოკრატიას, თავისუფლებას—ვერ უღალატებს, ვერ გასცემს, ვერ გაჰყიდის; ევროპისაკენ აზიისაკენ ვერ იბრუნებს პირს, განათლებას უმეცრებაზე ვერ გასცვლის, დემოკრატიზმის მაგიერ დესპოტიას ვერ დაუთმობს ადგილს; ანარქიის ტალღებში ვერ გადაეშვება.

დამფუძნებელი კრება ღრმად არის დარწმუნებული, რომ მთელი საქართველოს ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა და მიმართულებისა, ქართველი ერი, საქართველოს დემოკრატია, მისი სახელოვანი, ბრძოლაში გამობრძმედილი შეიარაღებული ძალა—ჯარი და სახალხო გვარდია და მთელი ხალხი შემოკრბება დამფუძნებელი კრების და მთავრობის გარშემო, შეურყევლად დაიცავს საქართველოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს თავდაცვას!

დამფუძნებელი კრება.

## ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

3 მაისი.

### ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

### ტროცკის წერილი.

მოსკოვი 1. „პრავდის" დღევანდელ № 9-ში ტროცკი სწერს: რუსეთი დაშლილი, გაძარცვული, დაუძლურებული და გამოფიტული. მსოფლიო მტაცებლები ფიქრობენ, სურთ იფიქრონ, რომ რუსეთი სასიკვდილოთ არის განწირული. მაგრამ არა, ჩვენ მშრომელნი მას ავწევთ, გავაძლიერებთ და გავაჯანსაღებთ ჩვენი შეუდრეკელი, მტკიცე და შეთანხმებული შრომით, რომელიც ახალი ცხოვრების საფუძველს წარმოადგენს.

### სამხედრო ფრონტებზე

მოსკოვი 30 აპრ. რევკომის მიერ ბაქოში ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შემდეგ აზერბეიჯანის საბჭოთა მთავრობის თანხმობით ჩვენი ჯავშნიანი მატარებელი ბაქოში შევიდა. კავკასიის ფრონტის მთავარი სარდალი დეპეშით იუწყება: თერგის საბჭოთა რესპუბლიკის დახმარებით იმედი მაქვს, რომ ნავთის ამ ძვირფას წყაროს ვერავინ წაგვართმევს. კიევიდან და ხარკოვიდან გვატყობინებენ: პოლონეთის შემოტევის ამბავმა გასაოცარი აღშფოთება გამოიწვია. კიევის საბჭომ რევოლუციის საქმის იარაღით ხელში დაცვის სურვილი გამოსთქვა, ხარკოვის საბჭომ მიიღო რეზოლუცია, სადაც ნათქვამია შემოტევაზე პოლონელებს შეტევითვე უნდა ვუპასუხოთ. დაიწყო გადამწყვეტი ბრძოლა რუსეთისა და უკრაინისა და პოლონური შლიახტის შორის. ეს ომი მანამდის არ შეწყდება, სანამ პოლონეთის მემამულეთა კლასი საბოლოოთ არ დამარცხდება.

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(ბასრიდან).

### გაფიცვა ახალ ზელანდიაში.

რკინის გზელთა გაფიცვის გამო ახალი ზელანდიის ჩრდილოეთ ნაწილებთან დამოკიდებულება შეწყდა.

### პოლონელთა შეტევა.

ვარშავიდან ოფიციალური წყაროებიდან იუწყებიან, რომ პოლონელები, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში იგერიებდნენ ბოლშევიკების შეტევას, 25 აპრილს რიჟლსკის სარდლობით [illegible] და პოდოლიაში საერთო შეტევაზე გადავიდნენ. ხელთ ჩაიგდეს დიდძალი ტყვე, 160 [illegible], 2000 ვაგონი. ბრძოლა გრძელდება.

### რევოლუცია მექსიკაში.

მექსიკაში სონორაში შტატში და წარმოებული რევოლუცია (სადაც დამოუკიდებლობა გამოაცხადეს) სხვა შტატებშიაც მოედო. მთავრობის ჯარმა მათ გაუწია მცირე წინააღმდეგობა. შეერთებულმა შტატებმა სამხედრო გემები გაგზავნა უცხოელთა ინტერესების დასაცავათ.

### ᲤᲠᲐᲜᲒᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ.

### პირველი მაისის გარშემო.

პარასკევს დილით შეიკრიბა მთავრობა (გამოტოვებულია) 1 მაისის დღისა და [illegible] გამო, რომელიც [illegible] ნის გზით გამოაცხადა. სხდომის დასრულების შემდეგ საზოგადოებრივ საქმეთა მინისტრმა ტროკემ ჟურნალისტებთან შემდეგი განაცხადა: მე დავარწმუნებ რკინის გზელებისადმი ნდობას იმიტომ, რომ მე დიდი ხანია ვიცნობ მათ შეგნებულობას. ისინი არ შეუშინდებიან არც მიმართვას მუშებსა და ზოგიერთ უკიდურესთა მლიქვნელობას, რომელთა უმეტესობა შორს სდგას რკინის გზის საქმეებიდან. ამას გარდა ყველა ზომები მიღებულია და რკინის გზელთა მუშაობის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია.

### პოლონელთა გამარჯვება.

პოლონელები იუწყებიან ბოლშევიკებზე გამარჯვების შესახებ.

### ოსმალეთის დედაქალაქი.

ოსმალეთის დედაქალაქი სტამბოლიდან [illegible] 1 მაისს წავა.

### ლოიდ ჯორჯის მოხსენება.

ხუთშაბათს ლოიდ ჯორჯმა თემთა პალატაში მოხსენება გააკეთა სანრემოს კონფერენციის შედეგების შესახებ. ლოიდ ჯორჯმა მოიწონა საფრანგეთ-ინგლისის ერთსულოვნება, სანრემოში მიღებულმა დადგენილებამ ეს გაუგებრობა გაფანტა. ვერსალის ხელშეკრულება დარჩა ბაზად, რომელზედაც დაფუძნებულია ევროპის პოლიტიკა, და ჩვენი მისწრაფებანი, როგორც ყველა მოკავშირეებისა, არის ამ ხელშეკრულების სავსებით აღსრულება. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მოხდა სრული შეთანხმება იმ საკითხებში, რომელიც სპაში უნდა გაირჩეს. რუსეთის შესახებ პრემიერ მინისტრმა განაცხადა, კონფერენციამ ისევე დაამტკიცა თავისი სურვილი, რომ ამ მხარესთან კომერციული დამოკიდებულება განაახლოს.

### ებრაელთა დარბევა იერუსალიმში.

ბეირუთის გაზეთი „რეფორმის" მოყავს დაწვრილებითი ცნობები იერუსალიმში მომხდარ ებრაელების დარბევის შესახებ. მსხვერპლი ასობით არის, მაღაზიები გაძარცვულია. წესრიგის აღსადგენათ პალესტინაში გაგზავნა ინგლისის ფლოტი.

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

ხუთშაბათს 4 მაისს, საღამოს 8 საათზე დანიშნულია ქალაქის სახლის არაჩვეულებრივი სხდომა. დღის წესრიგი: მოხსენება მიმდინარე მომენტზე.

◆ დღეს, საღამოს 6 საათზე მუშათა სასახლეში დანიშნულია საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მორიგი სხდომა.

◆ **შეიარაღებული თავდასხმა სამხედრო სასწავლებელზე.** 2 მაისს, საღამოს 12 საათზე სამხედრო სკოლას თავს დაესხა დაახლოვებით ოცდა ხუთამდე პირისაგან შემდგარი შეიარაღებული ბანდა. მათი განზრახვა იყო ჯარისკაცებში ამბოხების გამოწვევა. მორიგე ოფიცრის დეპუტატების შემდეგ ბრძოლა შეიქნა მძაფრი ჯარისკაცებთან. დაიჭირეს იარაღის საწყობი თაობა, გამოუცხადეს მათ, რომ ახალი ბოლშევიკური მთავრობა შესდგა, ძველი უკვე დამარცხდა, მთელი ხალხი და დანარჩენი ჯარები ახალ მთავრობას მიემხრო და თქვენც გამოდით. ჯარისკაცებმა განაცხადეს, რომ ისინი თავის უფროსს შეასრულებენ, წამოიცვენენ საწოლებიდან და თავდამსხმელებს შეუტიეს ცივი იარაღით ხელში და ზოგმა კი იარაღით. შეტაკების დროს თავდამსხმელთაგანი ორი მოკლულ, ერთი დაჭრილ და დანარჩენი დაპატიმრდნენ, ეს უკანასკნელნი უკვე გადასცეს სამხედრო სასამართლოს. დაჭრილია ორი ჯარისკაცი. თავდასხმის წინ ჰქონიათ საღამოს 11 საათზე კრება, სადაც შეუმუშავებიათ ამბოხების გეგმა. მოკლულ დაჭრილთა და დაპატიმრებულ თავდამსხმელთა გვარები შემდეგია: 1) მეფისტიანც პეტრე, 2) [illegible]ანც მიქელ. 3) არუთინიანც რაფიელ, 4) [illegible]იანც არუთუნ, 5) პაპიანც პეტრე, 6) მანუკიანც აშოტ. აფიცრებმა, იუნკრებმა და ჯარისკაცებმა მტკიცე ერთსულოვნება და ერთგულობა გამოიჩინეს. (ს. დ. ს.).

◆ სამხედრო გენერალ-გუბერნატორათ ქალაქ თბილისის, მაზრებიდან: თბილისის, გორის, დუშეთის, თიანეთის, თელავის, სიღნაღის, ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის მაზრების და არტვინის ოლქისა მთავრობის თავმჯდომარის განკარგულებით დანიშნულია კონსტანტინე ამბაკოს ძე სულაქველიძე ამა მაისის 3 რიცხვიდან.

◆ ცენტრალური შტაბი შემდეგს გვატყობინებს: ვინაიდან აზერბეიჯანის მთავრობის როგორც მოქალაქეთა [illegible] ტრანსპორტის შემოსვლა ჩვენს ტერიტორიაზე შეწყვეტილია,—მთავარსარდლის [illegible] განკარგულებით, რათა ყოველგვარი [illegible]—გამოსვლა აზერბეიჯანის საზღვარზე იქნეს აღკვეთილი.

◆ ბაქოდან მოსული ცნობების თანახმად [illegible] მუშათა წრეებში დიდათ უკმაყოფილონი არიან ბოლშევიკური მთავრობის და კომისრების მოქმედებით. ქალაქში ვრცელდება მთავრობის საწინააღმდეგო პროკლამაციები, სადაც [illegible], რომ ისინი მოსტყუვდნენ.

◆ თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა გამგეობების შეერთებულმა კრებამ მოისმინა რა ამხ. ნ. ჟორდანიას მოხსენება მიმდინარე მომენტზე, ნდობას უცხადებს მთავრობას [illegible] ნაბიჯებში და აღუთქვამს შესაფერ დახმარებას. ანგარიშს შემდეგ ნომერში დავბეჭდავთ.

◆ **წარმოდგენა ჯარისა და გვარდიისათვის.** დღეს, 12 საათზე, არტისტულ საზოგადოების თეატრში მიიღებს საუკეთესო ძალებით ალ. სუმბათაშვილის ცნობილი დრამა „ღალატი".

◆ **მოხსენება.** დღეს, ხუთშაბათს, ამ. მარქს. ცენტრალური კომიტეტის ბინაზე, ამხ. ზ. [illegible] წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „პიროვნება და ისტორიული განვითარება". დასაწყისი საღ. 5 საათ. ორგანიზაციის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

◆ **წარმოდგენა-კონცერტი** სამშაბათს, 4 მაისს, ქართულ კლუბში მუნიციპალურ მუშათა მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირი მართავს წარმოდგენა-კონცერტს, მიწის ძვრისაგან გორელების სასარგებლოდ. მონაწილეობას როგორც წარმოდგენაში, ისე კონცერტში მიიღებენ განსაკუთრებით თბილისის [illegible] მუშა-მოსამსახურენი.

## ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚ Ს.-Დ. ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲘ

30 აპრილს ქალაქის თვითმმართველობაში შესდგა ს. ს. დ. მ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, ს.-დ. პ. კოლექტივების და ყველა საოც. დემ. ფრაქციათა გაერთიანებული კრება. კრებაზე პოლიტიკური მომენტის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ჟორდანიამ. მომხსენებელი შეეხო აზერბეიჯანში მომხდარ გადატრიალებას, დაასახელა ნამდვილი მიზეზები, რამაც მოახდინა ეს გადატრიალება, დაახასიათა ნამდვილი მიზნები, რაც ბოლშევიკებს ამოძრავებს, დასასრულ აღნიშნა ის საფრთხე, რომელიც საქართველოს დემოკრატიას მოელის და გამოსთქვა ურყევი რწმენა, რომ საქართველოს რევოლუციონური დემოკრატია, როგორც ყოველთვის, ეხლაც შესაფერ პასუხს გასცემს მტრებს და [illegible] გამოცდა. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ნოე ჟორდანიასი აზერბეიჯანში სახელმწიფოებრივ გადატრიალებისა და ბოლშევიკური საფრთხის მოახლოვების შესახებ, თათბირი აღიარებს: 1) რომ სახელმწიფო გადატრიალება აზერბეიჯანში მოეწყო იმ ღრმა უკმაყოფილებამ, რომელიც დაითესა მშრომელ ხალხში გაბატონებული წრეების პოლიტიკამ, რომელთაც ვერ განახორციელეს ვერც ერთი სოციალური რეფორმა და ხელი შეუწყვეს დემოკრატიის დამონების განმტკიცებას, 2) აზერბეიჯანის ხელმძღვანელი წრეები, აგრეთვე კომუნისტები შეეცადნენ მოსკოვ-[illegible] მის აგენტურის მეშვეობით [illegible] ნაციონალური დროშის ქვეშ დაეუფლებინათ თავისი ქვეყნის სვე-ბედი, 3) აზერბეიჯანის მთავრობამ ფეხ-ქვეშ გათელა საქართველოსთან დადებული ხელშეკრულება,—კარი გაუღო ბოლშევიკურ ჯარს და მით ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა დამოუკიდებლობა საფრთხეში ჩააგდო, 4) კომუნისტების გაბატონება აზერბეიჯანში მოასწავებს საწარმოვო ძალთა სრულ განადგურებას, შრომის მილიტარიზაციის დაწყებას, სამუშაო დღის გადიდებას და საერთოდ, მსგავსად რუსეთისა, მუშათა მდგომარეობის გაუარესებას, აგრეთვე ერთა შორის შუღლის გაღვივებისა და ხალხთა [illegible] დასაწყისს. ეს რევოლუციის საბოლოო დასამარება იქნება.

თათბირი სავსებით იწონებს დამფუძნებელი კრებისა და მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომელიც მიმართულია რესპუბლიკის საზღვრების დაცვისაკენ და მოუწოდებს პარტიის ყველა წევრს [illegible] ერთგულად აწარმოონ ფართო თავდაცვა [illegible] ბოლშევიკურ-ოსმალური იმპერიალიზმის საფრთხისაგან.

ეს ერთ-ერთი გზაა საქართველოს ფარგლებში მშრომელთა ბატონობის განსამტკიცებლად, რევოლუციური მონაპოვართა შესანარჩუნებლად და დემოკრატიის მეოხებით სოციალიზმის დასამყარებლად.

## ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის თავმჯდომარის ვალიკო ჯუღელის დეპეშები:

### პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

ამხანაგებო! მხურვალე მოკითხვით და საომრათ გამზადებული სახალხო გვარდია—მესამე კონფერენციის სახით მხურვალე [illegible] სალამს უძღვნის საქართველოს ყველა მუშებს. თქვენ მოგვეცით ჩვენ წმინდა დროშა და მაღალი იდეალები და თქვენვე მოგვეცით ხელში იარაღი ამ წითელ დროშის და პროლეტარიატის იდეების დასაცავად. ჩვენ პირნათლად, აღფრთოვანებით ვასრულებდით ჩვენი პროლეტარიატის დავალებას და ბევრმა ჩვენმა ამხანაგმა ამ მოვალეობას თავი შესწირა, და თქვენი გვარდია ჯერ არსად დამარცხებულა. არ დამარცხებულა, რადგანაც ის ყოველთვის თავდაცვას აწარმოებდა და სხვას არავის თავზე არ ესხმოდა. დღეს მტრები ისევ წილებს და განადგურებას უქადიან ჩვენს ქვეყანას.

და სახალხო გვარდია კვლავ თოფ-ქვეშ დგება. გაშლილი დროშებით, მტკიცე იმედით და შეურყეველი რწმენით გამარჯვებაში მივისწრაფით ჩვენ საზღვრებისაკენ და თქვენ შეგვყურებთ. ჩვენი გამარჯვება თქვენზეა დამოკიდებული, როცა ჩვენ ვგრძნობთ პროლეტარიატის სულიერ და ფიზიკურ კავშირს ჩვენთან ჩვენ ძალა გვემატება და უძლეველი ვხდებით. და ჩვენ ვიცით, რომ თქვენ გიყვართ თქვენი გვარდია, რომ თქვენ შეიყვარებთ ჩვენ სამხედრო ფრონტს.

ეს სიყვარული ჩვენთვის ყველაფერია.

ეს სიყვარული ჩვენ კვლავ მოგვცემს გამარჯვებას.

### დამფუძნებელ კრებას

სახალხო გვარდიის მესამე კონფერენცია მხურვალე სალამს უძღვნის დამფუძნებელ კრებას,—დიდ რევოლუციის ამ ძვირფას გვირგვინს. სახალხო გვარდიას სწამს, რომ ამ დიდ ისტორიულ მომენტში, როცა ჩვენი ხალხის ყოფნა არ ყოფნის საკითხი სწყდება—მთელი ხალხის ნება მტკიცეთ გამოიხატება დამფუძნებელ კრებაში და ეს ნება გაამთლიანებს და [illegible] რესპუბლიკის თავდაცვის საქმეს. სახალხო გვარდია მზათ არის ყოველივე ძნელი გამოცდის ხალხის საკეთილდღეოთ და საომრათ დაწინაურებული, უკვე საზღვრებზე მიეშურება.

### მთავრობის თავმჯდომარეს.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო დროს, როცა წყდება მთელი ჩვენი ხალხის ბედ-იღბალი და მომავალი, როცა მტრის ძალები ყოველ მხრივ უახლოვდებიან ჩვენი რესპუბლიკის რევოლუციონურ საზღვრებს, სახალხო გვარდიის მესამე კონფერენცია იმედიან სალამს უძღვნის მთავრობას და ფიცსა სდებს, რომ მთელი თავისი ძალ-ღონით დაიცავს ჩვენი რესპუბლიკის ხელშეუხებლობას და თავისუფლებას. სახალხო გვარდია მთელ ხალხთან ერთად თავისი [illegible] შემოერტყმის ჩვენ გათავისუფლებულ ქვეყანას. და თუ ქვეყნის თავისუფლებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის საჭირო შეიქნა დიდი მსხვერპლი,—მთელი სახალხო გვარდია აღტაცებით მიიტანს თავისი ფიზიკურ და ზნეობრივ ძალებს მშრომელი ხალხის თავდაცვის საკურთხეველზე.

### [illegible] ერთებს.

ჩვენი წრფელი, აღტაცებული სალამი თქვენსკენ მიიღეთ ამ დიდ ისტორიულ მომენტში, თქვენ შექმენით იმ მთლიანობას და სიმტკიცეს ზურგში, რომელიც [illegible] ყველა ფრონტს და [illegible] გამარჯვებას მისცემს. სახალხო გვარდიის მესამე კონფერენცია ღრმად არის დარწმუნებული, რომ ერთობა [illegible] ერთად ყოველ ზომებს იხმარენ, რომ ომში წასულ მებრძოლთა ოჯახები მოვლილი და უზრუნველყოფილნი იქნენ. მეომრებმა არ უნდა [illegible] ზურგზე ზრუნვა, ზურგი ფრონტს ახალ ძალ-ღონეს უნდა სძენდეს და მაშინ ჩვენ ვერავინ დაგვძლევს.

### სამხედრო მინისტრს.

სახალხო გვარდიის მე-3 კონფერენცია [illegible] სალამს უძღვნის [illegible] რევოლუციონურ ჯარს. ჩვენ უკვე ამხანაგურ ვუყურებთ ამ ჯარის მიერ ჩვენთვის ნაჩუქარ ბედს და გვწამს, რომ ამ ძმობაზე დაიმყარება, შემოკრბება ჩვენი ახალი მხედრობა. მთელი სახალხო გვარდია გვერდში ამოუდგება ჩვენს ახალგაზრდა ჯარს და მასთან ერთად დაიცავს ჩვენ თავისუფალ ქვეყანას.

## ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

30 აპრილს, დილის პირველ საათზე ქ. ბათუმში [illegible] ქუჩაზე სასიკვდილოთ დაჭრეს გენერალი [illegible]. ეჭვით დააპატიმრეს [illegible], მათ შორის, სერგო ალექსანდრეს ძე [illegible].

— კონტრიბუციის რკინ. გზის [illegible] 29 აპრილს დასრულდა. პირველი მატარებელი ამავე დღეს დილით ჩამოვიდა.

— ბოლშევიკების მიერ ბაქოს აღების გამო ადგილობრივი მთავრობის მიერ ნავთის ყველა რეზერვუარები და საწყობები დაბეჭდილი იქნა, რომლებიც ეკუთვნოდა აზერბეიჯანის მთავრობას, თუ კერძო პირთა. დაბეჭდილი ნავთი უდრის ას მილიონ ფუთს.

## ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ

(შთაბეჭდილება)

### [illegible] განადგურება.

„რუსეთი განადგურდა, რუსეთი იღუპება"—აი გაშლილი, რომელიც ისტერიული კივილით ისმის ყოველ სიტყვაში მოსკოვის კრემლის კომუნისტური მართველებისა. და მართლაც, თვით უნდა ნახოთ რუსეთი, ან ყოველ დღე უნდა კითხულობდეთ კომუნისტურ გაზეთებს, რომ კარგად სიმძიმე ამ მდგომარეობისა, რომ მიხვდეთ რუსეთის ხალხის უდიდეს ტრაგედიას, რომელმაც შედეგად სამოქალაქო ომისა მიიღო ქვეყნის სრული განადგურება, წარმოების გაქრობა, გადამდები სნეულებანი და ხალხის ნახევრად გაველურება. დღეს ყუბანი და შავი ზღვის პირი მოგონებას წარმოადგენს იმისა, რაც იყო თუნდ ორი წლის წინეთ. ყუბანი პურის ქვეყანაა, ხალხი უმთავრესად ხვნა-თესვას ეწევა. ასეა უმეტესად რუსეთის გუბერნიები, გლეხი და სოფლის მეურნეობა დაკავშირებულია ერთმანეთთან ისტორიულად და თვით დიდი რუსეთის მეურნეობის ხასიათი განისაზღვრებოდა გლეხის სასოფლო მეურნეობით. არსებითად ის ჩამორჩენილი იყო, მაგრამ დღეს ამ ჩამორჩენილ მეურნეობიდანაც დარჩა მოგონება. [illegible] ომმა გლეხს საშუალება მოუსპო გაუძლოს თუნდ თავის ჩამორჩენილ მეურნეობას. ცოცხალი საქონელი, რაც მისი უპირველესი იარაღი იყო მეურნეობისთვის დღეს მას აღარ ჰყავს. გლეხმა მოკლა იგი ომში, [illegible] ეს მისი უმთავრესი განძი. მე ვნახე, თუ რა გვარ მდგომარეობაში დენიკინის ჯარი [illegible] ცხენებს, [illegible] ძროხებს, [illegible] და სხვა წვრილფეხ საქონელს მარა ეს არ ხდებოდა მარტო დონში, არამედ—ეს მოხდა მთელი რუსეთის პურიან ქვეყნებში, მთელ უკრაინაში და დასასრულ დამთავრდა ყუბანის სრული აოხრებით. დენიკინის ჯარმა, ბოლშევიკებს რომ ხელში არ ჩავარდნოდა, ეს უმთავრესი სიმდიდრე რუსეთისა საქონელი გამორეკა სამხრეთისკენ, რასაკვირველია ჯარი სჭამდა ამ საქონელს, ხოლო რაიც კომუნისტები ჩაიგდებდნენ ხელში, ისიც ხომ სამხედრო [illegible]. ამას დაურთეთ უზომო საქონელი შიმშილით დახოცილი, ომში განადგურებული. უკანასკნელი ბრძოლების დროს ნოვოროსიისკის და ტუაფსის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამფუპში ცეცლი ბზები და ირგვლივ მიდამოები მოკირწყლული იყო მკვდარი ცხენებით, რომელთა გაწმენდა კომუნისტურმა მთავრობამ ორი კვირის განმავლობაში ვერ შეიძლო და ჰაერი მოსწამლა დღემდის საშინელი სუნმა. ლონდონიდან და ტელეგრაფისტებიდან გაფრენილთა დაბრუნებულთა გადმოცემით კი ეს გუბერნიები დღეს სრულიად მოკლებულნი არიან ცოცხალ საქონელს. და აი, ეს არის მიზეზი, რომ დღეს რუსეთში, პურის ქვეყანაში, ერთი ფუთი ფქვილს სიკვდილი არის დამშეული მაცხოვრებლების დაუძლეველ სიკვდილი, მარა ფუნქციონალურ ეს შეუძლებელია და ამისთვის კომუნისტური მთავრობა მეტის სწრაფის ტრაქტორების დამზადებაზე, მის შეკეთებაზე. მარა სანამ გლეხს ტრაქტორი მოუვიდოდეს, სანამ მას გაუმჯობესებული იარაღები, მანქანები თავის საზრდო ყანა მაინც მოიყვანოს. ამისთვის არის, რომ მთელ დღეს მთელ ყუბანში ჩამოყალიბებული ლიტვინები ხალხის, რომელსაც ყანები უნდა მოიყვანოს დაუმუშავებელი დარჩა და არ იცის რა მოუვა მომავალ წელში. გადმოცემული არიან ჩვენის ჩვენი შიში, თვით კომუნისტური გაზეთები აყენებენ ფერის გადიდებაზე ამტკიცებენ, რომ ცოცხალი საქონლის 60—70 პროცენტი საზოგადოება იმდა ამოწყვეტილა. და ამგვარ ნათლათ წარმოადგენს მკითხველი, თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს რუსის გლეხი, რომელიც დღეს ცხენისთვის ნაცვლად ვერსად შოულობს, და მით უმეტეს, ვერ შოულობს სახნის საკვებს, გუთანს, ხოლო იმას რომ იშოვის მისთვის ზედმეტია, ვინაიდან მას გუთანში გასაბმელი საქონელი არ ჰყავს.

მაგრამ ეს არის სურათი მარტო სასოფლო მეურნეობის, ქალაქები და მასი წარმოება ხომ სრულიად მოიშალა. ბევრი ქარხანა და სამრეწველო ცენტრები დღეს სრულიად არ ტრიალებენ, ხოლო სადაც დარჩა მოგონება წარმოების, იქაც მუშა ხელს ვერ იშოვით, მუშა გაექცა ქალაქს, ის დაუბრუნდა თავის მამაპაპათა ხელობას—გუთანს.

ყველამ იცის, თუ რას წარმოადგენდა ცარიცინი რუსეთის მრეწველობისთვის, სადაც ათი ათასობით მუშაობდა რუსეთის პროლეტარიატი და ამ ქალაქს დღემდი სამრეწველო ცენტრს უძახოდნენ, მარა დღეს თვით კომუნისტური გაზეთებს გადმოცემით ცარიცინიდან მომდინარე სამრეწველო მოგონებები დაცხრილის ნანგრევთა მთავრებში ჩადგრინდეს. აი როგორ ახასიათებს ცარიცინის ცხოვრებას მდგომარეობას ნოვოროსიისკის „Известія Революціоннаго Комитета“ № 9 ცხრა აპრილისა: „ცარიცინის ჯარმა თავის წასვლის შემდეგ ცარიცინში დასტოვა მხოლოდ ძველი ბარბაროსობისა და განადგურების [illegible]. ჩვენ დაბრუნების დროს [illegible] და ქალაქის ელექტრონის სადგური. სრულიად განადგურებული [illegible] ქარხანა, სადაც [illegible] მანქანები. [illegible] ქარხნები, მართალია, ძლიერ არ დაზიანებულან, მარა ყველაზე ძვირფასი მანქანები წაღებული და დამტვრეულია.

ელექტრონის სადგურის ძალის ქვეშ დარჩა [illegible] ნაგებობები, რომლის [illegible] სრულიად დაინგრა სადგური და [illegible]. [illegible] განადგურებული პირველი [illegible]. ცეცხლმა სრულიად გადასწვა სადგურის განაწილებელი ფარი.

არის დანგრეული და პირველი განადგურებულია სხვა ქარხნების შენობები და მაშინები.

თითქმის სრულიად განადგურებულია წყალსადენი და მისი აღდგენა შეუძლებელია.

სავოზშენო რევოლუციონური კომიტეტი ფიქრობს ერთი [illegible] ქალაქის სადგური მოაწყოს წყლის დენისთვის. ქალაქი არის [illegible] მცხოვრებთ დღეს უწყლოთ.

სახლების [illegible] სრულიად ჩალეწილი [illegible] 1000 [illegible] დანგრეული [illegible] განადგურებული.

[illegible]

შუა ქალაქში [illegible] არის [illegible].

რაც შეეხება ცარიცინის მ[illegible], განსაკუთრებით [illegible], სადაც [illegible] რკინის გზის სადგური, რომელიც რუსეთში [illegible] და ის სრულიად დანგრეულია და მისი აღდგენა შეუძლებელია. აქვე განადგურებულია წყალსადენი, რომელიც ასაზრდოებდა 30 ათას მცხოვრებთ.

ამავე დროს ფუნქციონირებდა განადგურებული რკინის გზის სახელოსნოები. ნავთის სადგურები და ნავთის ამოსაღები მანქანები გაფუჭებულია.

ორთქლმავლების ნაწილზე გადასხმული ნავთი და ცეცხლია წაკიდებული“.

მე მოვიყვანე ეს გრძელი ცნობა გაზეთ „იზვესტიადან“, რომ დავანახვო მკითხველისათვის, თუ რა დღეშია რუსის ხალხი შეუფერებელ კომუნისტური პოლიტიკის მიზეზით. მარა ცარიცინი მარტო არ არის ამ მდგომარეობაში, თვით როსტოვი, ეს სამხრეთის ცენტრი სამრეწველო რუსეთისა, დღეს დანგრეულ გაპარტახებულ მდგომარეობას წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება სხვა ქალაქებს, ყველა მათგანი უფრო დაზიანდა ტიპიურ, რომელიც დაახლოვებით ცარიცინის სურათს მოგვაგონებს.

ტიფმა ბოლო წლებში ჯარმა აღგომა დალია. მე უფრო მოწამე ვიყავი, თუ როგორ აფეთქდა ყუმბარების საწყობი ღამის 3 საათზე და ეს აფეთქება გრძელდებოდა თითქმის 24 საათის განმავლობაში, რომაც სრულიად იმსხვერპლა რკინის გზის სადგური, გადაწვა ყველა ვაგონები და ირგვლივ სახლები ნახევრად დაანგრია. გარდა ამისა შავი ზღვის ნავსადგურში ზღვაში ჩაძირული ჯავშნიანი მატარებელი, ლოკომოტივები და სხვა ტვირთი ქონება, რომელთაც ვერ წაიღეს თან დამარცხებულმა ჯარმა. თვით ქალაქი საშინელი იერის წარმოადგენს, სახლებში ყველა მინები ჩალეწილია, ფანჯრებში ჩარჩოები მოგლეჯილი, სახლები დანგრეულია, ხოლო ქუჩებში ადგილობრივ გაფუჭებული ცხენები და მათ შორის კი მკვდარი ძაღლები, დაწვებული ყუთები, რომლებიც სამი დღის განმავლობაში ხელუხლებელი იყვნენ.

თუ ამას დავუმატებთ ფუთიერების ხიდების აფეთქებას, ვაგონების გადაწვას და დამტვრევას, მკითხველისთვის აშკარა იქნება, თუ რას უნდა წარმოადგენდეს დღეს რუსეთი, როგორი უნდა იყოს ამ პირობებში მცხოვრებ ხალხის მდგომარეობა. და მართლაც, ენა ვერ გამოთქვამს და კალამი ვერ აღწერს დამშეულ ტანჯულის რუსეთისას, რომლისთვისაც საჭიროა რაიმე განსაკუთრებული ძალა, რომ შიმშილით არ მოკვდეს, სიცივეში არ ჩაიყინოს, სენით სული არ ამოხდეს. და მაინც მოუწოდებს ინტერნაციონალი კვალით კომუნისტური მთელ რუსეთის მშრომელ ხალხს დასამშვიდებლად. უკანასკნელ მოწოდებას ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი მშრომელთადმი ასე ათავებს: „Всероссійскій исполнительный комитетъ обединяетъ васъ всехъ въ одну великую рать для похода противъ нищеты, развала, анархіи, болезни, безпорядка и грозящей гибели“ (იხ. „Извѣстія Новор. Рев. Комитета“ № 8)

აი სამწუხარო სურათი დღევანდელ რუსეთისა, რომელიც სისხლში, განადგურებაში, ანარქიაში, ავადმყოფობაში და მოსახლეობის სიკვდილში ხედავს თავის ტრაგედიას და ხსნას ფიქრობს სიცოცხლის შენარჩუნებას. დიდი, ტანჯულ და ყველაფრისგან გაძარცვულ რუსის ხალხის კომუნისტი ართმევს დღეს ხელიდან თოფს და ის მიდის ამ საშინელ სურათის ცოდნით მაინც გაწონასწორებლად.

მერე რა აქვს ყველა ამასთან საერთო ჩვენს ხალხს და ქვეყანას? რა აქვს საერთო საქართველოს მუშათა კლასს ამ უბედურებთან, რომელმაც მოიცვა მთელი რუსეთი? კომუნისტები გვარწმუნებენ, რომ ეს სამოთხეა, მარა ჩვენ არ შეგვიძლია არ დავუჯეროთ მათი მოსწრებულ ამხანაგების გულწრფელ განცხადებებს და ამისთვის უნდა მოვუწოდოთ საქართველოს მუშათა კლასს და გლეხკაცობას: იფხიზლეთ [illegible], ისინი თავის ამ უბედურებისგან, რომელმაც განადგურა ჩვენი რუსეთელი ამხანაგები და დღეს წინადა [illegible], ჩვენ მოგვეცდება [illegible], საქართველოს პროლეტარიატს კიდევ უნდა ისწავლოს, რომ ის სოციალიზმის სამეფოში შეგვიყვანოს.

ძმობელთა ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკა [illegible] უბედურებას, ამ უბედურების ნაპირზე ჩვენ უნდა ველმართოთ ჯაჭვში [illegible].

ამხანაგი.

(შემდეგი იქნება).

## ს.-დ. პარტიაში

ქ. ხაში. აპრილის 18 შედგა ს. ს. დ. მ. პ. ხაშის ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. პ. ჯავა.

თანამედროვე მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ით. ზარიძე.

შემდეგ არჩეულ იქნა ხუთი კაციანი შემდგარი სამხარეო კომისია, რომელსაც დაევალა მიტინგის მოწყობა და ხელმძღვანელობა..

რაც შეეხება რაიონში მომზადე პირთა ფუნქციონალურ კავშირების მოქმედების საკითხს, იგი ზოგიერთი ამხანაგების გამო გადადებულ იქნა შემდეგ კრებისათვის.

კალის.

— —

თფილისი 27 აპრილს ვოლმერის სახალხო უნივერსიტეტში შედგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონის წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი იყო: მიმდინარე პარტიული ყრილობის ცენტრალური წესრიგი, რაზედაც მოხსენება გააკეთა ამხ. ნ. ბ. რამიშვილმა. მოხსენება მოწონებულ იქნა კრების მიერ. ყრილობაზე დელეგატებად არჩეულ იქნენ მ. წიწიშვილი, ნ. სხირტლაძე, ა. ვამეკიძე, ილ. მაჭრაძე. კრებამ მოისმინა მუშათა საკითხის შესახებ მოხსენება ილ. მაჭრაძისა და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „ვინაიდან უმუშევართა საკითხი მთელი ერთიანი სახელმწიფოს მოწყობისაგან, ამიტომ საკითხი გადაცემულ იქნას ცენტრალურ კომიტეტს.

X.

## მუშათა შორის

### თფილისის ტრამვაის წარსული ცხოვრებიდან.

თფილისის ტრამვაიში მეფობდა კაპიტალისტების ბატონობის დროს ქართველი მოწინავე მუშები დევნილნი იყვნენ. განსაკუთრებით ამ დევნამ უმწვავესი ხასიათი მიიღო 1905 წლის მოძრაობის დამარცხების შემდეგ. მაშინდელი ტრამვაის დირექცია ნაციონალისტურ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრობით, რომელთა უმთავრესი შტაბი ტრამვაიში არსებობდა, მუდამ დახშული იყო მოწინავე მუშებისთვის ტრამვაის წარმოების კარები. ყველაზე უფრო საშიშ ელემენტებათ მიაჩნდათ საქართველოდან მოსული მუშები. ამნაირმა შევიწროებამ თფილისის ტრამვაიში ქართველი მოწინავე მუშების რიცხვი ძლიერ შეამცირა და მუდმივი და მოყვანილი მუშები „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ ხელში იყო. რაც შეეხება რუს მუშებს, ისინი 1905 წ. გამოუცდელნი იყვნენ და არ იცოდნენ, თუ რა ხდებოდა მათ გარშემო. იცოდნენ მხოლოდ ის, რომ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ რევოლუციონერები მეფის მტრები იყვნენ და მათთვის ყველაზე მავნებელნი. მაგრამ 1905 წ. მოძრაობის დამარცხების შემდეგ გარდა თითქოს რომელიმე მთავრობის, როცა გაიმარჯვა გამარჯვებული მეფის რეაქციის, მთელი მასა გადაბირებული „ჭეშმარიტ რუსთა კავშირში“. [illegible] ის ხანა თფილისში, როცა [illegible] ტრამვაის და მის შემდეგ [illegible]. ამ დროს არც ერთი რუსი მუშა ტრამვაიში არ ეკუთვნოდა სოციალ დემ. მუშათა პარტიას (სხვა რევოლუციონერი პარტიები მაშინ ტრამვაიში არ არსებობდნენ). ყველა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრები იყვნენ. მათი ნაწილი ასრულებდა „ოხრანკის“ აგენტების როლს, თუ რამდენიც იყო იმ ხანებში ტრამვაის მოწინავე მუშების მდგომარეობა, ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ 1908 წლიდან, ვიდრე 1914 წლამდე, არ გასულა ტრამვაის ცხოვრებაში ისეთი წელი, რომ 15—20—30—48 და მეტი, 1914 წ. დამლევს 9, ხან მეტი ხან ნაკლები არ ყოფილიყო ტრამვაის მუშებიდან გადასახლებული რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში [illegible], სადაც ბევრი მათგანი დაიღუპა და ბევრი კი დავრდომილი დაბრუნდა რევოლუციის შემდეგ სამშობლოში. ასეთი იყო [illegible] რუსების მოღვაწეობა ტრამვაიში.

ეს მოკლე ისტორიული ცნობა იმიტომ მოვიყვანეთ, რომ საზოგადოებას თვალის დაენახვებინა რანი იყვნენ რუსი მუშები თავის დროს, და რამდენათ შეიცვალნენ ახლა. [illegible] ყველა იმ ცვლილებას, რაც მოხდა ტრამვაის რუს მუშებში [illegible]. [illegible] 1905 წლის შემდეგ ტრამვაიზე მოხდა ზედიზედ 1913—14 წლებში რაც მუშების გამარჯვებით დამთავრდა. რას შვრებოდნენ ამ გაფიცვის დროს „რუსთა კავშირის“ წევრები? ისინი ქვეყნისთვის შეუდგნენ გაფიცვის მეთაური მუშების მკერდს და [illegible] ჩვენ ამხანაგებს [illegible]. თუ [illegible] ამ გაფიცვის დროს, ჩვენ მუშაობას [illegible] და გაფიცვას [illegible]. [illegible] ისეთებიც კი, რომლებსაც მაშინ [illegible] შენახული ფული.

ერთის მხრით ამხანაგების გაცემა, მეორე მხრით მუქარა სახარჯოს მიღებისათვის, რასაც, რასაკვირველია, გაფიცვის მონაწილენი შეძლების დაგვარათ მუდამ აკმაყოფილებდნენ, რომ გაფიცვა არ ჩაეშალათ, გაფიცვის ნაყოფით კი პირველნი ისინი სარგებლობდნენ. ასეთ ნაირ ტანჯვაში იმყოფებოდნენ სოციალ-დემოკრატი მუშები ტრამვაიში, თითქმის წლების განმავლობაში ვიდრე 1917 წ. დიდ რევოლუციამდე. რევოლუციის შემდეგ „ჭეშმარიტ რუსების“ მდგომარეობა ტრამვაიში შეიცვალა. აღარ იცოდნენ რა ექნათ და ვის მიეკედლებოდნენ. სოციალ-დემოკრატი მუშები მათ თავის წრეში ვერ მიიღებდა და არც მიიღო, ამ დროს ტრამვაიში მათდა საბედნიეროთ გაჩნდა ერთი ვატმანი, რომლის გვარი სამწუხაროდ აღარ მახსოვს, რომელმაც გამოაცხადა მათ „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრებს და სხვებს, თქვენ რუსები ხართ და ცხადია, თქვენი პარტიაც რუსული უნდა იყოს, და ასეთი კი მთელ რუსეთში ერთია, ესაა სოციალისტ რევოლუციონერების პარტია, მიწისა და თავისუფლების მომცემი და ამ პარტიაში უნდა ჩაეწეროთ. მთელი რუსები ტრამვაიში ქალებიც და კაცებიც ერთიანათ გახდნენ სოციალისტები; ამის შემდეგ ყველა ის ძველი „ოხრანის“ აგენტები სოციალისტებით მოევლინენ და ამ როლს გაუძღვნენ მათ წინაამდეგ. გაიარა დრო, რუსეთი დაინგრა. სოციალისტ რევოლუციონერები იმალებოდნენ, ხან ბოლშევიკები იმარჯვებდნენ, ხან დენიკინელები და ჩვენი ტრამვაის „სოციალისტებიც“ ხან დენიკინისტები იყვნენ, ხან ბოლშევიკობდნენ. აღსანიშნავია ერთი გარემოება: როცა დენიკინ-კოლჩაკის შეტევა გაძლიერდა და მოსკოვს მიუახლოვდნენ, აქეთ ჩრდილოეთ კავკასიაც ხელში ჩაიგდეს და საქართველოზე ილესავდნენ კბილებს, ამ დროს ჩვენი ტრამვაის „სოციალისტები“ „ხატებით“ „ჯვრებით“ გადავიდნენ მცხეთისკენ [illegible] და რუსული ნაციონალური დროშებით ხელში, როცა შეიტყვეს დენიკინის მცხეთაში შესვლისთვის, მიულოცეს გამარჯვება და ამ უკანასკნელ მოლოცვაში [illegible] მუშების (სოც დემოკ. მუშების) საქართველოთ [illegible]: იდღესასწაულეთ ბატონებო, სანამ დარი გიდგათ და როცა მოსალოდნელი შემოვლენ, მაშინ მოგეხსენებათ.

დენიკინი და მისი ჯარები წყალმა წაიღო, ახლა ბოლშევიკების გამარჯვება დღეს ტრამვაის რუს მუშებში ვერც ერთ დენიკინელს ვერ ნახავთ. ყველა ბოლშევიკია, ყველა „კომუნისტია“, კომუნისტები ის ვაჟკაცები კი, რომელიც ყოველ ეკლესიის წინ ტრამვაის აჩერებდნენ და ლოცვას შეუდგნენ, და რომელმაც ნიკოლოზის ხატებს რომ ვაიგო, სამგლოვიარო შავებით შემოსეს. დღეს ეს ტრამვაის კომუნისტებიც სხვა ეკლესიას, ილოცებენ და იმუქრებიან, როგორც დენიკინელები; ესე იგი, ისევ ერთდროულად ხალხს სხვადასხვა პარტიული სამოსელში და სხვა და სხვა დროს; ყველა ჭამა გამოიდის [illegible] „შოლთიკები, მოკლეს მთელი არმიელები და [illegible] რომელიც დაგვიგეს. თქვენი არავინ ვართ, თქვენ შინ მოსვლით გეხოცებით“.

საყვარელიძე.

(დასასრული იქნება)

## პროვინცია

სოფ. ხართიშელა (გორის მ ხრით) წელს აქ ჭირმა ნახნავ ნათესის არა საომილო პირი უყანს, რადგან მთელი ნათესობა თავისმანის არის გადათხრილი, ვერ ხნაში ხომ მთლად ვეღარ [illegible]. [illegible] ასახლებენ [illegible] მისთვის, რის გამო ამ სოფელს შიმშილი მოელის.

ამ სოფლის შუა შინდორიში ძველად ეკლესია ყოფილა, რომელიც დღეს სამარცხვინოთ დანგრეულია, არავინ იცის თუ რა ეკლესია იქნებოდა, მაგრამ როგორც ეტყობა, ეს ნაშთი ქრისტეს წინათ უნდა ყოფილიყო კერპთ სალოცავი [illegible], [illegible] ამ ეკლესიის მიდამოები [illegible], [illegible] ქვებით [illegible] შემკობილი და [illegible], როგორც ეტყობა, [illegible]. [illegible] ქვის [illegible] ახლა [illegible] ნათესავი [illegible]. ამ სოფლისა [illegible] თავის ფერის [illegible] ჯვარი [illegible] ქვების [illegible] ერთი ქვა. ეს სამლოცველო [illegible] არ არის მიტოვებული, აქაური მცხოვრებნი ყოველ წლივ თავს იყრიან და მიდიან დიდ პატარაობით სალოცავათ თავიანთი მღვდელ თავკაცით, აი წელსაც გახსნილი და სამებობა დღეს გაშლილს სალოცავთ დაბრუნებისას თითქმის ჩვეულებით აქეთ ერთმანეთში ჩხუბი და თავპირის მტვრევა. წელსაც მოიგონებს ჩვეულება. დაბრუნებისას ჩხუბის დროს რევოლვერებით სასიკვდილოთ დაჭრა აქაურმა მცხოვრებმა თედორე გურგენიძემ თავისივე მეზობელი ელიზბარ ნადირაძე და დაჭრით შეკლა თავს. აღელვებული ხალხი მისთა გურგენიძის სახლს ცეცხლით და ლამოდა დანგრევას, მაგრამ ადგილობრივ სასოფლო კომისრის წყალობით გადარჩა.

ნ. ბარძიმაშვილი.

## განცხადებანი

კბილის ექიმი

**ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**

და მისი ასისტენტი მ. ა. დადიანი იღებენ კბილით ავადმყოფებს: აკეთებენ ხელოვნურ კბილებს, ასწორებენ უსწორმასწორო კბილებს. ავადმყოფებს მიიღებენ დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანას ტასიას ქუჩა № 12. ტელეფონი 3—63. (21—5)

ექიმი

**სოლომონ ისაკის ძე ვოლოხი**

იღებს ქალის და შინაგან სნეულებების ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბეჟენის ქ. № 5.

1303—25—2)

**ექიმი ა. დ. კეკელია**

სპეციალური: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 5—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 118, „ნოვ“-ს მოპირდაპირე. ტელ. 14—23.

(1343 25—1)

თფილისში

პრაქტიკოსი დოქტორი მედიცინისა

**ვ. ბ. მოსეშვილი**

გადავიდა ბარიათინსკის ქუჩაზე ა. ი. ანჯაფარიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მიიღებს შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფთა დილით 12—1 ს., საღამოთი 5—8 საათამდე.

(1327—25—1)

ექიმი

**ა. ზ. ვართანოვი**

სპეციალური: კანისა და ვენერიული სნეულებები (სიფილისი „606“ და 914 შეშხაპუნება). მიიღებს: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ხერსონის ქ. № 3 [illegible] ქუჩის კუთხე, [illegible].

(1323 25—2)

ოზურგეთში

**ექიმი აბაშიძე**

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით, ნერვიული, კანის და [illegible] „ტუბერკულოზით“ და „რევმატიზმით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. [illegible] სახლში.

(ცუშ. 336)

ექიმი ქალი

**ბ. ვ. ალშიბაია**

წყნეთის ქუჩა № 23. იღებს ყოველ დღე 12—3 საღამოს 6—7. სპეციალურად სამშობიარო ქალების ავადმყოფებს. [illegible].

ექიმი

**ნ. ლ. ცერიაშვილი**

იღებს ქალური და საშვილოსნო სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღე 1—3 და საღ. 4—5 ჩერქეზოვის ქუჩა № 23 [illegible] ქუჩის.

(1325—25—2)

ექიმი [illegible]

[illegible]

ქალაქის საავადმყოფო

ყოველნაირ ავადმყოფთათვის

**ექ. ე. მ. ბაინარიშვილისა**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 იღებს 8—3 ს. ვენერიული: სიფილისით და კანის ავადმყოფების მიღება ყოველ დღე საღამოთი 4—7 ს. ქალებისათვის ყოველ დღე. 3—11 ს. საავადმყოფოში ავადმყოფებს იღებენ შემდეგი ექიმები:

ი. კ. ახალკაცი—შინაგან ავადმყ.

დ. მ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვთა სნეულ.

ნ. ნ. ჯავახიშვილი ნერვებ. და ფსიქიატრია.

ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი.

ა. გ. მაჭავარიანი—საფერშლო (ქირურგიული) სნეულ.

გ. ა. მძინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.

ნ. ს. [illegible]—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.

ზ. ა. ცხვედაძე—თვალების სნეულებ.

გ. ლ. ზედაშნიკაძე—დედათა სნეულ. (ქალების და [illegible]).

საავადმყოფოში სწარმოებს: კონსულტაციები, ოპერაციები, ელექტრიზაციები, [illegible], კანის ქვეშ [illegible], შეშხაპუნება „606“ და „914“. ავადმყოფები მიიღება მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი. (ბ. 25—2)

ექიმი

**ნიკოლოზ მახვილაძე**

იღებს [illegible] შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მაჩაბლის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. (1255 48—5)

ექიმი

**ჰენრის ისაის ძე ვოლოხი**

ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებით ავადმყოფებს დილით 1—2 ს, საღ. 4—7 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38.

(1304 25—2)

მედიცინის დოქტორი

**ივ. ლოლაძე**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა, მიიღებს საღამოს 4—7 საათ. [illegible] ქუჩა, სახლი № 3, ბინა № 5. პლეხანოვის პროსპექტის შესახვევში.

(1259—24—5)

**ექიმი მ. ა. შაფრანი**

სპეციალური: სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი [illegible] ქუჩა № 23.

(1288 25—3)

დოქტორი

**ბ. ბ. მეზრაბიანცი**

შინაგან ავადმყოფობანი—ქლექი და [illegible]. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—22, მიღება ყოველ-დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1350 25—1)

ექიმი

**ი. ი. ჭეიშვილი**

იღებს სპეციალურად: სიფილისით (შეშხაპ. 606—914) ვენერიულ და საშარდე ორგანოებით სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილ. 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. [illegible] ქუჩა № 72, ალექსანდროვის სახელობის ბაღის პირდაპირ.

(1224—ი.)

წინანდლის სახელმწიფო მამულში საჭიროა ერთი

**მოანგარიშე (სჩეტოვოდი)**

[illegible] ბუხჰალტერიის ცოდნით, ერთი უფროსი მევენახე თანაშემწე სპეციალური ცოდნით და ერთიც გადამწერი, ტრაქტორის საქმეებზე გაცნობილი, სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულოა. ჯამაგირი მოანგარიშეს—2700 მ.ნ., მევენახეს—2400 მ.ნ. და გადამწერს 1920 მან. თვეში, ბინა, განათება და გათბობა უფასოთ. ცნობისათვის, წინა სამსახურის, სწავლის და გამოცდილების საბუთებით უნდა მიმართონ წინანდალში, (კახ. რკ. გზ.) სახელმწიფო მამულის მმართველს, მაისის 15-მდე

(1458 2—1) მმართველი ერ. რამიშვილი.

**გიაურ-არხის მამულში საჭიროა მუშა ქალები და კაცები.**

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ საქართველოს სახაზინო რკინის გზის სასურსათო კომიტეტს. მისამართი: ელისაბედის ქუჩა № 200.

(ნ. 3—2)

ნებადართულია სამხედრო ცენზორის მიერ. [illegible]